ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 14 ივნისი, 2023 №115 (9151) ფასი: 80 თეთრი

9 წლის ბავშვზე 14 წლის მოზარდი ერთი წლის განმავლობაში ძალადობდა

გვ.5

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კალაძეს სად უნახავს ქალაქის ცენტრში 50-სართულიანი შენობები?!“

ვატო სურგულაძე: „თბილისი არის ბეტონში ჩასმული მკვდარი ქალაქი!“

გვ.2

„ნაციონალებს ხელისუფლებაში მოსვლის თავი არ აქვთ, ტყუილად ნუ ბაქიბუქობენ“

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „საქართველოს თუ არ გაულებს ევროპა კარს, ეს რუსეთს უფრო გაუხსნის ხელ-ფეხს“

„თუ ომი უკრაინამ მოიგო, მაშინ გამოდის, რომ საქართველოც დაუძვრა რუსულ ორბიტას“

ვახტანგ ძაბირაძე: „სასურველია, დასავლეთმა ჩვენზე უარი არ თქვას. ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა, ყველაფრის მიუხედავად, ევროკავშირმა გარკვეული წინაპირობებით სტატუსი მოგვცეს“

გვ.3

„თუ ყველაფერი ახლანდელი გზით წავა, უკრაინა გამარჯვებას წლის ბოლომდე მოიპოვებს“

გვ.4

რაში გამოიყენა რუსეთის სპეცსამსახურმა ომის დროს მკვდარი სულები?

პროკურორი: „ლაზარე გრიგორიადისის ქურთუკზე ნავთობპროდუქტების კვალი ამოვიდა“

გვ.5

გვ.5

„მთხოვდა, სექსუალური კავშირი მქონოდა რამდენიმე ადამიანთან...“

18 წლის გოგოს სკანდალური ჩვენება

გვ.5

თბილისში სანადირო თოფით მეზობლის მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

2 დავით კირკიტაძე: „ის შეცდომა, რომელსაც თქვენ უშვებთ სააკაშვილთან მიმართებით, თქვენც აუცილებლად მოგიბრუნდებათ“

4 21 დაღუპული და 2 დაკარგული — 13 ივნისის ტრაგედიიდან 8 წელი გავიდა

7 შვიდქალა ნაკრები ევროპას უმიზნებს

6 უკრაინელები უტევენ

1993230720223

„ნაციონალებს ხელისუფლებაში მოსვლის თავი არ აქვთ, ტყუილად ნუ ბაქიბუქობენ“

თორნიკე შარაშენიძე: „საქართველოს თუ არ გაუღებს ევროპა კარს, ეს რუსეთს უფრო გაუხსნის ხელ-ფეხს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, საკმაოდ კრიტიკულია ვენეციის კომისიის დასკვნა დეოლიგარქიზაციის კანონის შესახებ. ოპოზიცია აცხადებს, რომ თუ ხელისუფლება მაინც მიიღებს კანონს და არ გაითვალისწინებს ვენეციის კომისიის შენიშვნას, ეს საბოტაჟი იქნება კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგო. რას იტყვით თქვენ?

– მე იურისტი არა ვარ და ამიტომ სიღრმეებში ვერ შევალ. თუმცა, ეს კანონი ჩვენმა ხელისუფლებამ გადმოაკოპირა უკრაინულიდან, ახლა დაიჭერენ ხელში და იტყვიან, თუკი უკრაინული მოგწონთ და კარგია, ჩვენი რატომ არ ვარგა?!

„ოცნებას“ რეალურად ხელში აქვს ერთი უპირატესობა, ივანიშვილს ფორმალურად არანაირი გავლენა არ აქვს, არ ფლობს არაფერს, რაც უკავშირდება პოლიტიკას და მედიას. ახლა ოპოზიციას თუ უნდა, რომ დეოლიგარქიზაციის კანონი მაინცდამაინც ივანიშვილს შეეხოს, აქ არსებობს მარტო ერთი გზა, კანონი მიიღონ, სადაც ჩაწერენ, რომ ვისაც ოდესმე უმუშავია ივანიშვილთან, არ გაეკარონ სახელმწიფო თანამდებობებს. ეს კანონი ცოტა უცნაური იქნება, რადგან მხოლოდ ერთ ადამიანზე იქნება მიმართული. შესაბამისად, არ არის ასე მარტივი, რაც ოპოზიციას უნდა, რომ შეამცირონ ივანიშვილის გავლენა ხელისუფლებაზე. იურიდიულად, პრაქტიკულად, ეს შეუძლებელია.

– თავის მხრივ, „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ თუ დეოლიგარქიზაციის რეკომენდაციას მოხსნიან, ჩვენ მზად ვართ, ეს კანონი არ ავამოქმედოთო. თუკი გაჯიუტდა „ოცნება“, ეს რამდენად დაგვაზარალებს?

– არ მგონია, „ოცნებამ“ იქამდე მიიყვანოს საქმე, რომ სტატუსი არ მიიღოს. პირიქით, ყველანაირად შეეცდება, რომ სტატუსი მიიღოს. ძალიან ბევრ და გიჟურ შეთქმულების თეორიებს ვისმენთ, თითქოს არ უნდათ, სტატუსი მიიღონ. პირიქით, უნდათ. ხომ ხედავთ, დღემდე ამაყობენ, რომ თავის დროზე ხელი მოაწერეს უვიზოს და თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირთან, ამითაც იამაყებენ.

– მაშინ რატომ აქვთ ასეთი მკვახე განცხადებები დასავლეთის მიმართ? ბევრი ფიქრობს, რომ მიზანმიმართულად იქცევიან ასე.

– მე ასე არ ვფიქრობ. ევროპარლამენტშიც არიან ძალები, რომლებიც პირდაპირ ებრძვიან და ესენიც ვალში არ რჩებიან და პასუხს უბრუნებენ. როგორც ჩანს, ფიქრობენ, რაც არ უნდა მოხდეს, მათ ვერავინ ვერაფერს დააკლებს, ვერც გარედან და ვერც შიგნიდან. ამიტომ აქვთ არჩეული ასეთი ტონი.

– ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი დაელოდება 2024-ის არჩევნებს და სტატუსს მანამდე არ მოგვცემენო.

– არა, ამის ვარიანტი არ არის. ჩემი აზრით, ახლა მოგვცემენ სტატუსს. ევროპას დალოდება რაში აწყობს? დღეს ევროპა დამოკიდებულია უკრაინაში მიმდინარე ომზე. ომის გაწელვა კი ნიშნავს უკრაინისთვის უფრო მეტ ზარალს, ასევე ევროპისთვის კიდევ უფრო მეტ ეკონომიკურ ზარალს. ამ სიტუაციაში, ევროპას ურჩევნია, რომ დროზე გაუღოს საქართველოს კარი. ამ წელიწადშივე. ღმერთმა ნუ ქნას და გაისად ომი თუ კიდევ არ დამთავრდა, ეს რეალურად ნიშნავს რუსეთის უპირატესობას. მას მოსახლეობა სამჯერ თუ ოთხჯერ მეტი ყავს უკრაინაზე. ამიტომ ომის გაწელვაც მას უფრო აწყობს, ვიდრე უკრაინას. დასავლეთის ლოდინი არჩევნებამდე, როცა გაურკვეველია რუსეთ-უკრაინის ომში რა იქნება, არ მგონია, აწყობდეს ევროპას.

– ფიქრობთ, რომ ურჩევნიათ, ახლა მოგვცენ სტატუსი?

– კი, რასაკვირველია. აქ მარტო ის თემა ხომ არ არის, რომ დაგვსჯიან თუ თავზე ხელს გადაგვისვამენ. გეოპოლიტიკური ბრძოლა მიდის იგივე რუსეთთან. საქართველოს თუ არ გაუღებს ევროპა კარს, ეს, რა თქმა უნდა, რუსეთს უფრო გაუხსნის ხელ-ფეხს. კიდევ გაუჩნდება სურვილი, რომ „საჩუქარი“ გამოგვიგზავნოს. ახლა ხომ გამოგვიგზავნა უვიზო რეჟიმი და ავიაფრენები. კიდევ გამოგვიგზავნის და გვეტყვის, ხომ ხედავთ, ევროპას არ აინტერესებთო. არ უნდა მივცეთ რუსეთს ამის თქმის საშუალება. მოდით, ობიექტურები ვიყოთ და პირდაპირ ვთქვათ, მოლდოვას აქვს სტატუსი და საქართველოს არა, ეს ხომ არაობიექტურია. მოლდოვა და საქართველო რომ შევადაროთ, მოლდოვა უსენგეს წევრია, ძალიან კორუმპირებული ქვეყანაა, ბევრ რამეში ჩამორჩენილია. ამიტომ მათ აქვთ სტატუსი და ჩვენ არა, ცოტა ალოგიკურია, ხალხისთვის გაუგებარია.

– ბატონო თორნიკე, 2024 წლის არჩევნები საკმაოდ აქტუალურია. ოპოზიცია გაერთიანებაზე ალაპარაკდა, თუმცა ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს ერთობა უნდა იყოს ნაცების გარეშე. „ლელო“ გამოვიდა ინიციატივით, მესამე ცენტრი შევქმნათ ნაციონალების გარეშეო და რა დღეშიც ჩააგდეს, ვნახეთ. რამდენად სწორად იქცევა ამ რთულ ვითარებაში ოპოზიციური სპექტრი? არის შანსი მესამე ცენტრის შექმნის? თუნდაც „ლელოს“ გარშემო?

– ჩემი აზრით, კატეგორიულად გამორიცხულია, სერიოზული მესამე ცენტრის შექმნა შეძლოს ოპოზიციამ. დავუშვათ, ამ თითოოროლა პროცენტიანმა პარტიებმა საერთო ჯამში მაქსიმუმ რამდენი პროცენტის მოგროვება უნდა შეძლონ? ამათი შეკრება არ ნიშნავს, რომ მათი პროცენტებიც შეიკრიბება და ჯამში 6% გამოვა. ასე არ მოხდება. არ ჯამდება ასე ეს რიცხვები. ვინც ხაზარაძეს უჭერს მხარს, იმას „გირჩი“ არ მოსწონს. ვინც „გირჩს“ უჭერს მხარს, იმას გახარია არ მოსწონს. ამიტომ ის შედეგი არ ექნებათ, რაც იდეაში უნდათ.

– მაშინ რა უნდა ქნან?

– რაიმე სხვა უნდა მოიფიქრონ. მართალი გითხრათ, უკვე დიდი ხანია მათ ყოველდღიურ ჩხუბს და კინკლაობას აღარ ვუყურებ. მოჯადოებულ წრეზე დადიან.

– გამოსავალი რა არის არსებული სიტუაციიდან?

– თვითონ უნდა იპოვონ გამოსავალი. მე რომ გამოსავალი ვიცოდე, მე მოვიდოდი ხელისუფლებაში.

– რა გამოდის, რომ 2024 წელს ისევ ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის უნდა გაკეთდეს არჩევანი?

– აქამდე მიდის ყველაფერი. ნაცმოძრაობასაც ხომ უყურებთ, კვლავაც უფროსი ძმის როლშია და ყველას ზემოდან უყურებს. გამომდინარე იქიდან, რა გზაც გაიარეს და სადამდეც მივიდნენ, ცოტა სასაცილოა მათი ქედმაღლობა. მათ არა აქვთ ხელისუფლებაში მოსვლის თავი და ტყუილად ნუ ბაქიბუქობენ.

– მოსახლეობის 50%-ზე მეტს არც ქოცი უნდა და არც ნაცი. სად უნდა წავიდეს ეს ხმები? ან აქვს რომელიმე ძალას მისი ათვისების უნარი?

– მე რასაც ვუყურებ არსებულ პოლიტიკურ სპექტრს, არავის არა აქვს ამ ხმების აღების შანსი. აბსოლუტურად ყველანი მუშაობენ მოძველებული სქემით. თუ ოპოზიციაში ხარ, მიდიხარ ოპოზიციის კონტროლირებად არხებზე, იქ გხვდება ერთი და იგივე ხალხი, რომლებიც 24 საათი სულ ტელევიზიებში დადიან და მთელ დროს ერთმანეთთან ჩხუბში და წივილ-კივილში ატარებენ. უნდა თუ არ უნდა, ყველა ერთვება ამ წივილ-კივილში, რადგან სხვა ასპარეზი არ ჩანს. 21-ე საუკუნეა, რაღაც სხვა საშუალებები უნდა გამოიძებნოს. თუ გინდა გახვიდე ამომრჩეველზე, რომელსაც არც ერთი ბანაკი არ მოსწონს, სხვა პლატფორმები უნდა გამოიყენო. არ უნდა დაჯდე ყველ საღამოს ტელეეთერში, სადაც წინასწარ იცი, ვინ რას იკივლებს და ვინ რაზე იჩხუბებს. არ უნდა მიიღო მონაწილეობა ამ ცირკში! ხალხთან ლაპარაკის სხვა გზა გამოძებნონ. ვისაც სოცქსელებზე წვდომა არ აქვს, მას უშუალოდ შეხვდი, ახალგაზრდობისთვის „ტიკ-ტოკი“ გააქტიურე. ათასი საშუალება არსებობს ხალხთან ურთიერთობის. ეს დახავსებული ტელევიზიები, ნახავთ, ძალიან მალე ჩაბარდება წარსულს. დროს მოაქვს თავის ცვლილებები. სულ სხვა ეპოქა მოდის. ახალგაზრდების უმრავლესობა ამ თოქშოუებს და ტელევიზიებს საერთოდ არ უყურებს. აუწყონ ფეხი ახალ რეალობას. თუ არადა, კი ბატონო, ჩაებან ამ ძველ ფერხულში, საიდანაც არაფერი არ გამოდის.

დავით კირკიტაძე: „ის შეცდომა, რომელსაც თქვენ უშვებთ სააკაშვილთან მიმართებით, თქვენც აუცილებლად მოგიბრუნდებათ“

– თუ მართლა გულწრფელად გსურთ ევროპულ გზაზე გვქონდეს პროგრესი, აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს მიხეილ სააკაშვილი, აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს ნიკა გვარამია და პოლიტიკური ნიშნით დაკავებული სხვა ადამიანები, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა დავით კირკიტაძემ პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

– თქვენ ხომ ყველაზე კარგად აცნობიერებთ, რომ ევროკავშირში არ ელოდებიან ქვეყნებს, რომლებსაც ჰყავთ პოლიტიკური პატიმრები, ევროკავშირში არ არიან ქვეყნები, რომლებიც პოლიტიკური მოტივებით აკავებენ ყოფილ პრეზიდენტებს და დიახ, თქვენ პოლიტიკური მოტივით, პირადი ანგარიშსწორებით და შურისძიებით დაკავებული გყავთ მიხეილ სააკაშვილი, აბსურდული, სასაცილო ბრალით და არაერთხელ მოგიწოდეს გასულ კვირაში თქვენ, რომ ამ საკითხს მისდგომოდით უფრო სერიოზულად.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ან ამ დარბაზში, ან საქართველოს ხელისუფლებაში არის ადამიანი, რომელსაც ხელეწიფება ამ საკითხის გადაწყვეტა ისე, როგორც წაადგებოდა ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს. იმ ადამიანს, ვისაც ამ საკითხის გადაწყვეტა ევალება, მინდა შევახსენო ერთი რამ და ეს არის ბუნების კანონზომიერება – ეს დაგვემართა ჩვენ, დაემართა წინა ხელისუფლებასაც, იმის წინასაც, რომ, რა შეცდომებიც დაგვიშვია, პირველ რიგში, ეს იყო სასამართლოსთან დაკავშირებული, ეს შეცდომა მოგვიტრიალდა ჩვენ ყველაზე მწარედ და ყველაზე მწარედ ვიწვნევთ ამის შედეგებს. ის შეცდომა, რომელსაც თქვენ უშვებთ მიხეილ სააკაშვილთან მიმართებით, ამ ქვეყანაში გადაწყვეტილების მიმღებ ადამიანს მივმართავ, აუცილებლად მოგიბრუნდებათ ძალიან მწარედ!

თუ მართლა გულწრფელად გსურთ ევროპულ გზაზე ჩვენ გვქონდეს პროგრესი, აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს მიხეილ სააკაშვილი, აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს ნიკა გვარამია და პოლიტიკური ნიშნით დაკავებული სხვა ადამიანები. ეს იქნება მნიშვნელოვანი ბიძგი იმისათვის, რომ ერთობლივად ყველამ, მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ, ევროპული კოლეგები დავარწმუნოთ იმაში, რომ ჩვენ მართლა ვიმსახურებთ სტატუსს, ჩვენ ვართ მართლა ძირძველი ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, – განაცხადა დავით კირკიტაძემ.

პარლამენტმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია

პარლამენტმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია.

თავდაპირველად კენჭი ეყარა პრეზიდენტის მიერ მოტივირებული შენიშვნებით დაბრუნებულ კანონპროექტს, რომელიც შედეგით 15 – მომხრე, 26 – წინააღმდეგი „ჩავარდა“.

პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების ჩაგდების შემდეგ კენჭისყრაზე კანონპროექტის პირვანდელი რედაქცია დადგა. მას მხარი 82 ხმით (9 წინააღმდეგი) დაუჭირეს.

უმრავლესობის ინიციატივით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელსაც სალომე ზურაბიშვილმა ხელი არ მოაწერა, ეროვნული ბანკის საბჭოში ახალი აღმასრულებელი თანამდებობის – პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღება ხდება. ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას შეასრულებს.

ვახო მეგრელიშვილი: „ოცნების“ ქალბატონო დეპუტატებო, თქვენ მონათმფლობელობის თანამედროვე ვერსიის შემოღებას ცდილობთ“

პარტია „გირჩის“ წევრმა ვახო მეგრელიშვილმა პლენარულ სხდომაზე განაცხადა:

– სულ ბოლო საკითხი, რასაც თქვენ ლაპარაკობთ, არის ის, რომ თურმე ადამიანს საკუთარი სხეულიც არ ეკუთვნის, „ოცნების“ ქალბატონო დეპუტატებო. თქვენ ამბობთ, ადამიანს არ შეუძლია საკუთარ საშვილოსნოში გაზარდოს ბავშვი და მონობის ამაზე უარესი ფორმა მე არ ვიცი და თქვენ მონათმფლობელობის თანამედროვე ვერსიის შემოღებას ცდილობთ ამ ქვეყანაში.

სანამ ჩვენი მოსახლეობა ეგუება მონურ მდგომარეობას, ჩემი აზრით, ეს 125 კანონპროექტი, რომელიც უნდა განვიხილოთ, მათ მონობას კიდევ უფრო მეტად გააღრმავებს. როდესაც თქვენი ხელისუფლება შეიცვლება, მთავარი ამბავი იქნება ამ კანონების მასობრივად გაუქმება და მინდა მოვესწრო ამ მომენტს, როდესაც შემოვიტანთ 125 კანონს გასაუქმებლად.

მოკლულია მღვდელი – რუსებმა ხერსონის ერთ-ერთი სოფლის ეკლესიის ტერიტორია დაბომბეს

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი აცხადებს, რომ რუსები თავს დაესხნენ ხერსონის სოფელ ბელოზერკაში მდებარე ეკლესიის ტერიტორიას, რის შედეგადაც 72 წლის მღვდელი დაიღუპა, 76 წლის ქალი კი დაშავდა.

მისივე ცნობით, დაბომბვის შედეგად დაზიანდა 4 საცხოვრებელი კორპუსი, ფოსტა, ადმინისტრაციული შენობები, ცენტრალური მოედანი და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტები.

ხერსონის რეგიონული პროკურატურის ცნობით, დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, მონაცემები კი ზუსტდება.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძეს სად უნახავს ქალაქის ცენტრში 50-სართულიანი შენობები?!“

ვატო სურგულაძე: „თბილისი არის ბეტონში ჩასმული მკვდარი ქალაქი!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

– ბატონო ვატო, როგორ აფასებთ ჯანდაცვის სამინისტროს ახალ კანონს კლინიკებთან დაკავშირებით? რა ხდება, სადამსჯელო ღონისძიებები წამოიწყეს? რასთან გვაქვს საქმე?

– გასაგებია, რომ ხარისხის კონტროლი საჭიროა და მოთხოვნაა, რომ ადამიანებმა მიიღონ ხარისხიანი მომსახურება. თუმცა, ხარისხის გამოსწორება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად ვიღაც უნდა დასაჯო, დაიჭირო ან დააჯარიმო. ეს არის სუფთა ბოლშევიკური კანონი. ნებისმიერ დროს, თუნდაც ანონიმურად, შეუძლია ვინმეს, შეიტანოს საჩივარი კლინიკის წინააღმდეგ, შევიდნენ და დალუქონ. ამ დროს ყველა საბუთის დალუქვის უფლება არ აქვთ. არსებობს ე.წ. კომერციული საიდუმლოებები და ამას ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციის სააგენტო არც უნდა შეეხოს.

– ბატონო ვატო, შანტაჟის და მაქსიმალური კონტროლის მექანიზმს ქმნიან?

– რასაკვირველია! ამის მიზანი არის პოლიტიკური შანტაჟი და მაქსიმალური კონტროლი. როგორც აკონტროლებენ საბავშვო ბაღებს, როგორც აკონტროლებენ საჯარო სკოლებს, ზუსტად იგივე მექანიზმია. ბევრი კერძო კლინიკაა და სხვა ვერანაირი მექანიზმი ვერ იპოვეს. ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობდა. ნებისმიერ მომენტში შევლენ და დალუქავენ. თანაც აღსრულება იმავე წუთს ხდება. სასამართლოში რომც გაასაჩივრო, შენ ეს სანქცია არ გეხსნება. ადრე ასე იყო, თუ აჯარიმებდნენ და კლინიკის ხელმძღვანელობა ამას გაასაჩივრებდა სასამართლოში, სასამართლო აჩერებდა აღსრულებას საქმის განხილვამდე. ახლა კი დაუყოვნებლივი აღსრულებაა. ეს ხომ არ არის სუპერმარკეტი ან ავეჯის მაღაზია. კლინიკები ასე ფინანსურ კრახამდე შეიძლება მივიდნენ. ვთქვათ, შეცდომით დალუქეს, მერე ვინ აუნაზღაურებს კლინიკას მიყენებულ ზარალს?! ან ეს ზარალი როგორ იქნება დათვლილი? ამაზე პასუხი არ აქვს გაბუნიას. რამდენი შეკითხვა დავუსვი თამარ გაბუნიას და ვერასდროს ვერ მპასუხობს!

კონსტიტუციის მე-18 პუნქტის პირველი ნაწილით, ყველა დაწესებულებას აქვს უფლება, გონივრულ დროში გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილება.

– და ამ მექანიზმს უსპობენ?

– დიახ და არღვევენ კონსტიტუციას. გაასაჩივრებს კლინიკა, მაგრამ აღსრულება არ ჩერდება, ლუქავენ კლინიკას. ჩვენი სასამართლოს პირობებში კი პროცესი რამდენ ხანს გაიწელება, არავინ იცის. გაუგონარი რამ ხდება!

– რა პროცესთან გვაქვს საქმე? ცდილობენ, სამედიცინო სექტორი დააშინონ და დაიქვემდებარონ?

– პირდაპირ ვამბობ, ტოტალიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება მიდის ქვეყანაში! ახლა ავტორიტარული გვაქვს და გადავდივართ ტოტალიტარულ რეჟიმზე. რომ იყოს ერთი პარტია, იყოს ერთი ტელევიზია, ერთი გაზეთი, ერთი იდეოლოგია და ვინც ამ იდეოლოგიას არ დაეთანხმება, ყველა დაისჯება. აი ეს არის ტოტალიტარიზმი. სწორედ აქეთ მივდივართ. მე შემოვალ, დაგიხურავ, პრაქტიკულად ბიზნესს მოგიკლავ. მოკლედ, ეს არის გათვლილი დიდ კლინიკებზე, ვისაც სერიოზული შემოსავალი აქვს. აბსოლუტურად ყველა ეყოლებათ კონტროლქვეშ. როცა მინდა, მაშინ შემოვალ! არც კი გაგაფრთხილებთ. ეს მესიჯი მოდის. გახსოვთ, ნაცების დროს „მასკების შოუს“ რომ ეძახდნენ, ფინანსური პოლიცია რომ შერბოდა ხოლმე, ზუსტად იგივე იდეოლოგიაა. შემოვედი, დაგსაჯე! იმის მაგივრად, რომ შევიდნენ, ნახონ, რა ხარვეზები აქვს კლინიკას, ერთად მიიღონ ზომები მის გამოსასწორებლად, არა, მაშინვე უნდა დასაჯონ. უნდა იყოს მხარდამჭერი კონტროლი და არა სადამსჯელო ოპერაცია. ასევე გაორმაგეს ჯარიმები და მერე რა ამით? ეს არანაირ შედეგს არ მოიტანს.

– ცდილობენ, რომ ყველა და ყველაფერი დაიქვემდებარონ?

– რა თქმა უნდა, ზუსტად ასეა. ტოტალიტარული რეჟიმი ყალიბდება! არანაირი საჭიროება არ იყო ამ ახალი კანონის. კონტროლის მექანიზმი ხომ ისედაც ჰქონდათ. ეს არ ხდება პატარა კლინიკების წინააღმდეგ, ეს მიმართულია დიდი და სერიოზული კლინიკების წინააღმდეგ, სადაც დიდი ფული ტრიალებს. ეს ხდება იმიტომ, რომ მათი მფლობელები ჰყავდეთ კონტროლქვეშ. მეტი აქ არაფერი არ ხდება. ეს კანონი მიმართულია სწორედ ამისკენ, რომ ყველაფერში ჩაყონ ცხვირი, ყველა და ყველაფერი მართონ და დაშინებული ჰყავდეთ.

– იმის ნაცვლად, რომ ახალ ჯანდაცვის მინისტრს გამოესწორებინა სისტემაში არსებული პრობლემები, უარესს აკეთებს?

– რა დრო დამიდგა, რომ ტიკარაძე სანატრელი გამიხდა. ამ კაცს საერთოდ არაფერი ესმის ჯანდაცვის! სრული კატასტროფა ხდება.

– რაც გამოსასწორებელია, იმაზე რატომ არავინ იღებს ხმას? რა ხდება დედაქალაქში, ბეტონის ჯურღმულებში ვცხოვრობთ და კიდევ და კიდევ ახლის მშენებლობა მიდის.

– მიზანმიმართულად კლავენ ქალაქს! ამას აქვს თავისი ტერმინი – ურბიციდი ჰქვია. არის გენოციდი, სუიციდი, ამას ჰქვია ურბიციდი. არ ესმით, რომ ქალაქს აქვს სული და აი ამ სულის მოკვლას აპირებენ. ახლა ორი დიდი შენობის აშენებას იწყებენ გმირთა მოედანზე. ვინ უთხრა ჩვენ მერს, რომ ეს შეიძლება, სად ნახა, რომელ მილანში?! არაფრით არ შეიძლება მანდ დიდი შენობების აშენება. გათვლების გარეშეც ჩანს, რომ სერიოზული პრობლემები შეიქმნება. ბიძინა ვერტმფრენით მიიტანს სამშენებლო მასალებს და ტექნიკას. როგორ უნდა მოხდეს ამ ადგილას მშენებლობა, წარმოუდგენელია. სრულ კოლაფსში მოახვედრებენ ქალაქს. ყველგან ტოტალიტარიზმის მშენებლობა მიდის! ტიპიური ბოლშევიკურ-კომუნისტური აზროვნება და იდეოლოგია აქვს ამ ხელისუფლებას!

„ტიკარაძე სანატრელი გამიხდა. ამ კაცს საერთოდ არაფერი ესმის ჯანდაცვის! სრული კატასტროფა ხდება“

– არავინ მოსთხოვს კალაძეს პასუხს ამ ყველაფერზე?

– აუცილებლად მოეთხოვება. ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას. აბსოლუტურად ყველაფერზე მოეთხოვება კალაძეს პასუხი. თუ გაასწრო, სადაც არ უნდა წავიდეს, იქიდანაც ჩამოვიყვანთ! სად, რომელი ევროპული ქალაქის ცენტრში უნახავს 50-სართულიანი შენობები?! ყოფილი სასწრაფო რომ იყო, ელბაქიძიდან რომ ჩამოდიხარ, იქ აშენებენ ახლა 50-სართულიან სიმახინჯეს. საშინელებებს აკეთებენ, მთელ ქალაქს კლავენ. თბილისი არის ბეტონში ჩასმული მკვდარი ქალაქი! სულ საცობებია, საერთოდ არაფერი არ კეთდება იმისათვის, რომ სატრანსპორტო მოძრაობა გაუმჯობესდეს.



„თუ ომი უკრაინამ მოიგო, მაშინ გამოდის, რომ საქართველოც დაუძვრა რუსულ ორბიტას“

ვახტანგ ძაბირაძე: „სასურველია, დასავლეთმა ჩვენზე უარი არ თქვას. ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა, ყველაფრის მიუხედავად, ევროკავშირმა გარკვეული წინაპირობებით სტატუსი მოგვცეს“

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

– ბატონო ვახტანგ, ირაკლი კობახიძის განცხადებით, დიდი ალბათობით, საქართველოს ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსს მიანიჭებენ. ბოლო დროს პრემიერ ღარიბაშვილს მაღალი დონის შეხვედრები – ოლაფ შოლცთან, შარლ მიშელთან, შეიძლება მხოლოდ სტატუსის საკითხს უკავშირდება თუ შეხვედრების თემა უფრო გლობალურია?

– რა თქმა უნდა, ბევრად უფრო გლობალურია. ინტენსიური კონსულტაციები ყველა დონეზე, გასულ კვირას გერმანიის კანცლერთან, შოლცთან გამართული შეხვედრა, დღეს მიშელთან გამართული შეხვედრა, მხოლოდ ერთადერთზე მიანიშნებს – საკითხი გლობალური და მნიშვნელოვანია.

მე არ ვამბობ, რომ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება და სტატუსის მონიჭება მნიშვნელოვანი საკითხი არ არის, მაგრამ მგონია, რომ ბევრად უფრო მასშტაბურ საკითხზე არის საუბარი ამ კონსულტაციებზე.

– უფრო კონკრეტულად?

– ჩემი ვარაუდითა და ანალიზით, ამ შეხვედრებზე, განსაკუთრებით შოლცთან შეხვედრაზე, საუბარი იქნებოდა იმ გლობალურ პროცესზე, რომელიც დღეს მსოფლიოშია შექმნილი. ცხადია, ვგულისხმობ რუსეთ-უკრაინის ომს. უკრაინაში ვითარება სულ უფრო და უფრო გადამწყვეტ ფაზაში შედის. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ გერმანია მზად არის დამატებითი „ლეოპარდები“ გადასცეს უკრაინას, ამერიკამ დამატებით გამოყოს თანხები, ერთმნიშვნელოვანია, რომ ამ ომში დასავლეთი არ აპირებს უკან დახევას და უკრაინის ბედის ანაბარა მიტოვებას. ასევე, ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა არ გამორიცხა ნატოს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოების ფიზიკური ჩართვა ომში, ეს ნიშნავს, რომ ეს ომი გლობალურ ხასიათს იღებს.

ყველაფერი ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მსოფლიო ემზადება ანტირაშისტული კოალიციის სერიოზულ მოქმედებაზე. ცხადია, დასავლეთს აინტერესებს, ამ ანტირაშისტულ კოალიციაში იქნება თუ არა საქართველო.

– სად დგას საქართველო, დასავლეთთან თუ რუსეთთან?

– დიახ, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ასეა. დასავლეთს აინტერესებს, რამდენად შეიძლება საქართველო იყოს სანდო პარტნიორი. იქნება თუ არა ანტირაშისტული კოალიციის წევრი.

– პასუხი მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე?

– ცხადია! ამიტომ ვამბობ, რომ 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულების საკითხი შეიძლება განხილული იყოს სწორედ ამ კონტექსტში.

– ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ დასავლეთი ამ რეგიონს არ დათმობს, რადგან ეს უკვე რუსეთთან წაგება იქნებოდა. ეთანხმებით?

– მე ასე ვიტყოდი: რუსეთ-უკრაინის ომის შედეგები გვიჩვენებს, დასავლეთმა, ამერიკამ წააგო თუ დათმო ამ რეგიონში პოზიციები. თუ ომი უკრაინამ მოიგო, მაშინ გამოდის, საქართველოც დაუძვრა რუსულ ორბიტას. თუ პირიქით მოხდა და ომი წააგო უკრაინამ, მაშინ გამოდის, რეგიონიც დათმო და ომიც წააგო. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამ ვერსიის მე ყველაზე ნაკლებად მჯერა. ამიტომ, ახლა ყველაზე მეტად დასავლეთს აინტერესებს, გაარკვიოს, ბოლოს და ბოლოს, სად დგას საქართველო მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებში.

– სტატუსის მონიჭების საკითხი, შეიძლება ამაზეც იყოს მიბმული?

– რა თქმა უნდა, ამაზეც იქნება მიბმული. მე მგონია, რომ დათქმებით, გარკვეული წინაპირობებით სტატუსს მოგვცემენ, მაგრამ ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე, მის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული. თუ სტატუსს არ მოგვცემენ, ეს შემდეგ უფრო მძიმე შედეგებს გამოიწვევს. შეიძლება დასავლეთმა უფრო მძიმე გადაწყვეტილებაც მიიღოს.

– სანქციებს გულისხმობთ?

– დიახ. თუმცა, ეს სცენარი ძალიან ცუდი იქნება არა მხოლოდ ამ ხელისუფლებისთვის, არამედ ამ ქვეყნის მომავლისთვის.

– შეიძლება დასავლეთი უფრო ღრმად ჩაერიოს პროცესებში?

– სასურველიც კი არის, რომ ჩაერიოს. თუმცა, როგორი იქნება გადაწყვეტილება, ვერ გეტყვით. სასურველია, დასავლეთმა ჩვენზე უარი არ თქვას. ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა, ყველაფრის მიუხედავად, ევროკავშირმა გარკვეული წინაპირობებით სტატუსი მოგვცეს.

– მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება?

– დიახ, ეს ნამდვილად იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ერთგვარი გზავნილიც იქნებოდა რუსეთისთვის, რომ ის არ დათმობს საქართველოს და ამ რეგიონს. ეს ქვეყნის სტაბილურობისთვისაც კარგი იქნებოდა, მით უფრო, როდესაც ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია კარს მომდგარი.

„მეცნიერებათა აკადემია ბოლო 2 წელში 8 მილიონით დაფინანსდა, 47% ხელფასებში დაიხარჯა“

ფლანგვის დეტექტორის ინფორმაციით, მეცნიერებათა აკადემია ბოლო 2 წელში 8 მილიონი ლარით დაფინანსდა, რომლის 47% შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა.

– 2022 წლის მონაცემებით, აკადემიას საერთო ჯამში 78 წევრი ყავდა, მათგან 64 აკადემიკოსი, ხოლო 14 წევრ-კორესპონდენტი. კანონის თანახმად, აკადემიის წევრი აკადემიკოსების თვიური პენსია მინიმუმ 1,600 ლარია, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო წევრ-კორესპონდენტების, მინიმუმ 1,000 ლარი.

www.resurchify.com-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბე“-ს საერთო სამეცნიერო რეიტინგი 18,830-ია, ხოლო SJR-ის თანახმად, ამ ჟურნალის სამეცნიერო გავლენა 0.194-ითაა შეფასებული.

შედარებისთვის, ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალს სიახლეები გეოლოგიასა და ტექნიკურ მეცნიერებაზე საერთო რეიტინგში 12,224-ე ადგილი უკავია, ხოლო SJR-ის რეიტინგში 0.394 ქულა აქვს.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის „მათემატიკისა და მექანიზმის ინსტიტუტის“ ჟურნალის საერთო რეიტინგი 9,677-ე არის, ხოლო SJR სამეცნიერო გავლენის ქულა 0.518-ია.

ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის საერთო რეიტინგი 361-ე არის, ხოლო SJR სამეცნიერო გავლენის ქულა 4.184. – წერს „ფლანგვის დეტექტორი“.

შეგახსენებთ, 2023 წლის 7 ივნისს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი გახდა, რომელიც 2013 წლიდან ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას იკავებდა.

მსოფლიო ბანკის 2012 წლის კვლევის თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში როინ მეტრეველის რექტორობის დროს, მასობრივი კორუფცია ყვაოდა.

მაგალითად, ამ პერიოდში მექრთამეობა იმდენად იყო გავრცელებული, რომ ადამიანები უნივერსიტეტების ტერიტორიაზეც კი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას.

„თუ ყველაფერი ახლანდელი გზით წავა, უკრაინა გამარჯვებას წლის ბოლომდე მოიპოვებს“

რაში გამოიყენა რუსეთის სპეცსამსახურმა ომის დროს მკვდარი სულები?

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში მიმდინარე ომზე, რუსეთში დატაცებისა და კორუფციის მასშტაბებზე, რუსეთში სამოქალაქო ომის შესაძლებლობასა და სხვა საკითხებზე რადიო „თავისუფლების“ რუსულ სამსახურს ესაუბრა ცნობილი ბულგარელი გამომძიებელი ჟურნალისტი ხრისტო გროზევი.

– გაიზარდა თუ არა ომის დროს ქურდობისა და კორუფციის დონე რუსეთის არმიაში?

– დიახ. სამწუხაროდ, კორუფციის აფეთქება ომის დროს ფრონტის ნებისმიერ მხარეს შეინიშნება ყველა ქვეყანაში, იმიტომ, რომ „ომი ყველაფერს ჩამოწერს“. რუსეთში მილიარდობით მოცულობის ქურდობაა.

„გრუს“ (სამხედრო დაზვერვა) გენერლები ცდილობდნენ, ომის დაწყებისას ფული ეშოვათ კერძო კომპანია „ვაგნერის“ ალტერნატივის შექმნაზე. მას ქმნიდნენ თავისი კადრებით. ხელმძღვანელებად საკუთარი ნათესავები დააყენეს. „ვაგნერი 2“-მა მიიღო ის ბიუჯეტები, რომლებიც უნდა მიეღო „ვაგნერს“. გავარკვიე, რომ ამ ფულის 90% მიიტაცეს. ეს თანხები ფრონტამდე არ მისულა. ერთ-ერთი ხერხი და მაგალითი, როგორ ხდებოდა მოპარვა, მოკლული ადამიანების „დაქირავებაა“.

– ეს ხომ გოგოლია, „მკვდარი სულები“?

– რასაკვირველია. არ მეგონა, რომ ცხოვრებაში ვიხილავდი იმას, რასაც გოგოლი აღწერდა. ამას ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ, აგერ, ომის დასაწყისში ვნახე.

– პრიგოჟინის ფენომენს როგორ უყურებ? დგას თუ არა მის უკან ფსბ?

– სხვებისგან განსხვავებით, მიმაჩნია, რომ ის საკუთარ თავს წარმოადგენს.

– თავისი თავის პროექტია?

– დიახ. თავიდან ასე არ ყოფილა, თავდაპირველად პრიგოჟინი იყო თავდაცვის სამინისტროს პროექტი, პუტინთან დაახლოებული კორუმპირებული ოფიცრების პროექტი. დიდი ხნის განმავლობაში მას ანგარიში უნდა გაეწია იმისთვის, რომ მისი საშუალებით მოძრაობს ფული, რომ ამით ფულს შოულობს და სპონსორებსაც უყოფს. რამდენიმე წლის განმავლობაში ის თავდაჯერებული გახდა. ომის დასაწყისში იყო მცდელობა, რომ მისთვის მოეპარათ „ვაგნერის“ პროექტი. ეს არ გამოვიდა – პრიგოჟინი უკან გამოიძახეს. აღმოჩნდა, რომ მის გარეშე არ შეიძლებოდა – თავდაცვის სამინისტრომ ის დააბრუნა. მაშინ მან გადაწყვიტა, გამხდარიყო თავისი სურვილების აგენტი.

ადამიანებმა, რომლებიც მასზე (პრიგოჟინზე) მუშაობენ, არ იციან, სად წავა ის და რას იზამს. მათი თქმით, სავსებით შესაძლებელია, რომ მან მათ კრემლისკენ უბიძგოს. ისინიც უკან არ დაიხევენ.

– უშვებ, რომ მას შეუძლია სამოქალაქო ომის გაჩაღება?

– თუ დაინახავს, რომ ეს მისთვის უსაფრთხოა, შეუძლია ეს გააკეთოს. მისთვის ასევე მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოს მუქარა ბლეფის დონეზე, რათა სიცოცხლე გადაირჩინოს.

– მას, ალბათ, ბაშარ ასადისა და ლუკაშენკოს მსგავსად, რაღაც ფენომენალური დაცვა ჰყავს?

– ამ მომენტში ეს დაცვა გაძლიერებულად არის დაკავებული იმით, რომ იცავს მას როგორც უკრაინელი დივერსანტებისგან, ისე საკუთარი კონკურენტებისგან.

– აძლიერებს თუ არა რუსეთი ომის დროს თავის საგამოძიებო და დივერსანტულ საქმიანობას დასავლეთში?

– ის ცდილობს ამის გაკეთებას და ამის გამო შეცდომებსაც უშვებს. ის უშვებს მეტ შეცდომას, ვიდრე მშვიდობიანობის დროს. ამიტომაა, რომ ასე ხშირად ვიგებთ ცნობებს დაკავებული და დაპატიმრებული ჯაშუშების შესახებ.

– ომის მიმდინარეობის შენი პროგნოზი როგორია?

– ყველაფერი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გააგრძელებს მსოფლიო უკრაინის დახმარებას. ეს კი, თავის მხრივ, დიდადაა დამოკიდებული არჩევნებზე ამერიკაში. თუ ყველაფერი იმ გზით წავა, რასაც ვაკვირდებით, უკრაინა გამარჯვებას წლის ბოლომდე მოიპოვებს.

დიმიტრი ხუნდაძე: „უფალი არ გაწირავს საქართველოსო, არა, ეს ნამდვილად ასე არ იქნება“

„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი, დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს:

– მსურს, განცხადება გავაკეთო იმ თემაზე, რაც ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს და ტრადიციულად მოაზროვნე პიროვნებას აშინებს, დიახ, აშინებს და არა მხოლოდ აღელვებს. საქმე ეხება თანამედროვე მსოფლიოში „ლგბტ“ თემის ისტერიულ, მიზანმიმართულ პროპაგანდას. ვერაფრით წარმოვიდგენდით იმას, რომ თუნდაც ამერიკაში, რუზველტის, ლინკოლნის, რეიგანის და სხვათა ქვეყანაში, ამერიკის სახელმწიფო დროშას „ლგბტ“ ფერადი დროშა ჩაანაცვლებდა. აღარაფერს ვსაუბრობ სხვა ტრადიციულ და, განსაკუთრებით, ორთოდოქსულ სახელმწიფოებზე. რა ხდება? რატომ არის ასეთი დაუნდობელი ბრძოლა მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოშიც ტრადიციების, რწმენის, ოჯახური ღირებულებების წინააღმდეგ? რაში სჭირდებათ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს ასეთი მასშტაბური პროპაგანდა და პოპულარიზაცია? ხომ ყველამ ვიცით, რომ მათ არავინ ეხება და მათ უფლებებს არავინ ზღუდავს. მათ არავინ ერჩის. მაშ რაში სჭირდებათ ეს ყველაფერი? განსაკუთრებით, დღეს, ამ ურთულეს გლობალურ პროცესებში?

პასუხი არც ისე მარტივია, რადგან სწორედ ადამიანის უფლებრივ დაცვას და დემოკრატიას ამოფარებულები, შენიღბულად მოქმედებენ ახალგაზრდა თაობის გასარყვნელად, თუმცა უკვე ყოველგვარ ზღვარს გასცდნენ და შეეხნენ ბავშვებს, ყველაზე სუფთა ასაკს. ეს უკვე საგანგაშოა! ამის იქით მხოლოდ უფსკრულია, საითკენაც მიაქანებენ ჩვენს ქვეყანას.

საქართველოში ბავშვებს დედა ენას ურიგებენ და არა ერთსქესიანთა ოჯახური ცხოვრების წესებს აცნობენ, რაც არ უნდა კარგად იყოს ეს ნამღერი. როდესაც ამაზე ვსაუბრობთ, ბევრი ამბობს – უფალი არ გაწირავს საქართველოსო. არა, ეს ნამდვილად ასე არ იქნება, თუკი ჩვენ თავად გავწირავთ ჩვენს ქვეყანას და არ დავიცავთ საკუთარ შვილებს. დღეს ქართულ პოლიტიკაში ცოდნისა და უმეცრების, რწმენისა და უღმერთობის, სიკეთისა და ბოროტების ორთაბრძოლაა. სამწუხაროდ, ბოროტი ძლიერია – იმდენად ძლიერი, რომ ქართველებს (არა უმრავლესობას, მაგრამ მაინც ქართველებს) საკუთარი ხელით ანადგურებინებს საკუთარ ქვეყანას, თუმცა არც ისეთი ძლიერნი არიან, რომ ამ ქვეყნის გაქრობა შეძლონ.

თუკი ამერიკის პრეზიდენტს „ლგბტ“ თემის წარმომადგენლების ხმები, სხვა მიზნებთან ერთად, არჩევნების მოსაგებად სჭირდება, საქართველოში ამის პროპაგანდა სიტუაციის ასარევად, ყველაზე ხელუხლებელი – რწმენის გასანადგურებლად და ქართული სინდისის გასაქრობად სურთ. ახლოვდება ივლისი და დაანონსებულია „ლგბტ“ პრაიდი, ზუსტად ამერიკის დამოუკიდებლობის დღის პერიოდში, ალბათ მათი მფარველობის იმედით.

მივმართავ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს – თქვენ საქართველოში მართალია, საპატიო დიპლომატიური მისიით ბრძანდებით და გიდასტურებთ პატივისცემას, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სტუმრები ხართ. მიუხედავად თქვენი აუცილებელი და საჭირო სტუმრობისა ჩვენს ქვეყანაში, სტუმრები ვერ შეცვლიან საქართველოში მასპინძლის ადათ-წესებს.

ჩვენ არავისგან გვესწავლება ტოლერანტობა და არც არავისგან მივიღებთ ამაზე მითითებებს. იმედს ვიტოვებ, რომ „ლგბტ“ თემას, ევროკავშირის წევრის სტატუსის მინიჭების პროცესში, შანტაჟის კიდევ ერთ იარაღად არ გამოიყენებთ, და თუ მაინც შეეცდებით, საზოგადოებისგან პასუხი იქნება შესაბამისი. ეს ქვეყანა სწორედ ღირსებით, რწმენის და ტრადიციების პატივისცემით მოვიდა აქამდე. ჩვენ დღეს, მის მომავალს ფერად წერტილს ვერავის დავასმევინებთ.

საზოგადოება

21 დაღუპული და 2 დაკარგული — 13 ივნისის ტრაგედიიდან 8 წელი გავიდა

8 წელი 13 ივნისის ტრაგედიიდან – 2015 წელს, ზაფხულის წვიმა დიდი სტიქიის მიზეზი გახდა. ადიდდა მდინარე ვერე, რის შემდეგ განვითარებულ მოვლენებსაც 21 ადამიანი ემსხვერპლა, ორი კი დღემდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

მივყვეთ ქრონოლოგიურად:

ყველაფერი 23:35 საათზე დაიწყო – სტიქიას საფუძველი თრიალეთის ქედის კალთებზე ჩაეყარა. წყნეთი-ბეთანიის გზაზე მეწყერი ჩამოწვა, დაცურდა კლდის მთლიანი ფენა. სპეციალისტები იხსენებენ, რომ მთას დაახლოებით 1,2 მილიონი კუბური მეტრი მიწის მასა მოწყდა. ჩამოშლილმა მიწამ გზის 650-მეტრიანი მონაკვეთიც წაიღო. ღვარცოფი დედაქალაქისკენ დაიძრა. მას თბილისამდე 10 კილომეტრი აშორებდა.

23:50 – დაძრულმა მასამ მდინარის გამტარი გვირაბი გაჭედა, რომელიც მალევე მდინარემ გაარღვია. გვირაბში გაიჭედა ერთი მანქანაც. წყლის მასამ თანდათან მოიმატა, გართულდა მოძრაობა და წყალმაც ნელ-ნელა ყველაფერი დაფარა, მათ შორის – სახლები.

ამ დრომდე, ახალ გზაზე მოძრაობა ჩვეულებრივად გრძელდება. გვირაბთან მიმდინარე მოვლენები ამ დრომდე არავინ იცის.

00:35 – როდესაც ვერეს ხეობაში მაშველები მივიდნენ, ადგილობრივი ივლიტა ჯიბუტი, მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად, დახმარებას ითხოვდა. მათ დასახმარებლად მაშველები წყალში შევიდნენ. ამ დროს წყალს სახლი უკვე გატაცებული აქვს, ივლიტას მეუღლე ხეს ეჭიდება და იქვე მყოფ გოგოებს ხელით იჭერს. თუმცა, ცოტა ხანში მოვარდნილმა წყალმა სამივე გოგო გაიტაცა. ივლიტას მეუღლე კი მაშველებმა გადაარჩინეს...

00:40 – იძაბება მოვლენები სვანიძის ქუჩაზეც. სულ მალე წყლის მასა წყნეთის ქუჩის მიმართულებით დაიძრა. წყალმა მომატება დაიწყო. ღვარცოფი მტკვართან დამაკავშირებელ გვირაბს დაეჯახა, ჩახერგა და ტალახში შერეულმა მასამ დაგუბება დაიწყო. რამდენიმე წუთში წყლის დონემ 10 მეტრს მიაღწია და გვირაბის ზევიდან გადავიდა.

განსაკუთრებით დრამატულად კი მოვლენები ახალ გზაზე განვითარდა.

მდინარე ვერეს ხეობაში მყოფი ადამიანები საფრთხის პირისპირ აღმოჩნდნენ. ხეობაში მოვარდნილმა წყალმა მობინადრეებთან ერთად წაიღო სახლებიც. სამაშველო ოპერაციისას ერთი მაშველი, ზურაბ მუზაშვილი ადგილზე დაიღუპა. ცნობილი ხდება, რომ საკუთარი სიცოცხლის სანაცვლოდ, ტრაგედიის ღამეს, მან 7 ადამიანი გადაარჩინა.

02:30 – წყალმა მთლიანად დაფარა ზოოპარკი. მოვარდნილ ღვარცოფს მისი სამი თანამშრომელი ემსხვერპლა. ზოოპარკის 600 მობინადრიდან ცხოველების ნახევარი დაიხრჩო, ნაწილმა კი გაქცევა შეძლო. შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა ქალაქში სპეციალური დანიშნულების რაზმები გამოიყვანა იმისთვის, რომ მტაცებლებს ადამიანების სიცოცხლისთვის საფრთხე არ შეექმნათ.

მეორე დილას სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო/ვიდეო, სადაც ღვარცოფის დროს, ზოოპარკის ტერიტორიაზე არსებული ორსართულიანი სახლის კონდიციონერზე შემომჯდარი დათვის ბელია ასახული.

წყალდიდობის შემდეგ ქუჩებში 5 ლომი, 6 ვეფხვი, 6 დათვი და 13 მგელი აღმოჩნდა. დღის განმავლობაში, ქალაქში ვნახეთ ბეჰემოტი ბეგი, რომელიც ამ დღის სიმბოლო გახდა და მსოფლიოს ყველა წამყვანი მედიასაშუალების ობიექტივშიც მოექცა.

თბილისში რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ დაკარგულ ვეფხვებს... ზოოპარკიდან გაქცეულმა ვეფხვმა ერთი ადამიანი იმსხვერპლა.

13 ივნისის ტრაგიკული მოვლენები დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა. ამის შემდეგ, მდინარემ გვირაბის გარღვევა შეძლო და მტკვარს შეუერთდა.

13 ივნისს გარდაცვლილები:

ნუგზარ ბუაძე, დავით გაბიტაშვილი, ჟანა ეგიაზაროვა, ნანა ფილიშვილი, ელზა ზარანდია, ინდირა ზარანდია, გურამ პეტრიაშვილი, მარიამ ქუთელია, ნინა შუტკოვა, ივლიტა ჯიბუტი, ნატა ნინაშვილი, სულიკო ნოზაძე, ზურაბ მუზაშვილი, კარპო ენუქიძე, ოთარ ცუხიშვილი, ელიზბარ ბაღაშვილი, გივი დვალი, ლიანა ეგიაზაროვა, სვეტლანა ეგიაზაროვა, მალხაზ ჭიტაძე, გულიკო ჭიტაძე.

13 ივნისს დაკარგულები:

სერგო კაპანაძე და ბექა ბუთურიშვილი.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ 13 ივნისს ერთმანეთს 9 გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენა დაემთხვა. მათ შორის მეწყერი, ღვარცოფი, უხვი ნალექი და წყალმოვარდნა. საერთო ჯამში, თბილისს 100-მილიონიანი ზარალი მიადგა.

მანამდე კი, მდინარე ვერე 1960 და 1963 წელს, ასევე 1972 და 1995 წლებშიც ადიდდა. 1972 წელს ზოოპარკი მთლიანად დაიტბორა, წყლის ნაკადმა საცხოვრებელი სახლები დაფარა და ავტომანქანები მტკვარში ჩაიტანა. იყო მსხვერპლიც.

ჭიათურაში გაფიცულმა მაღაროელებმა შიმშილობა დაიწყეს

ჭიათურაში გაფიცულმა მაღაროელებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს და შიმშილობა გამოაცხადეს. 9 მაღაროელი საკვების მიღებაზე უარს აცხადებს.

მათი თქმით, შიმშილობის დაწყების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“ არანაირ დათმობაზე არ წავიდა.

3.000-ზე მეტი დასაქმებული ხელფასების გაზრდას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და შრომის უსაფრთხოების დაცვას მოითხოვს.

გაფიცულები პროტესტის შეწყვეტას იქამდე არ აპირებენ, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

ჭიათურაში იმყოფება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაგზავნილი მედიატორი, რომელიც პროცესებში ჩაერთო.

თბილისში სანადირო თოფით მეზობლის მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

პოლიციამ თბილისში განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებულმა თბილისში, ლილოს დასახლებაში მეზობელი სანადირო თოფით მოკლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ს.გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 12 ივნისს, ბრალდებულმა თბილისში, ლილოს დასახლებაში, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მეზობელს – 1974 წელს დაბადებულ ა.ყ.-ს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

9 წლის ბავშვზე 14 წლის მოზარდი ერთი წლის განმავლობაში ძალადობდა

3 წლის წინ კახეთში მომხდარმა პედოფილიის საზარელმა შემთხვევამ საზოგადოება შეძრა.

14 წლის მოზარდი 9 წლის ბავშვზე ერთი წლის განმავლობაში სექსუალურ ურთიერთობას სისტემატურად, მათ შორის, სკოლაშიც ამყარებდა.

ნათესაურ კავშირში მყოფი ბიჭი მსხვერპლს დანით არაერთხელ, სიცოცხლის მოსპობითაც ემუქრებოდა.

არასრულწლოვანმა, დანით დაშინების გზით, ძალადობა სცადა ამავე სოფელში მცხოვრებ 8-9 წლის ძმებთანაც. ბავშვები სოფლის მიტოვებულ შენობაში მოტყუებით შეჰყავდა და მათთანაც სექსუალური კავშირის დამყარებას ცდილობდა. ამის შესახებ დაზარალებულის ოჯახის წევრი აცხადებს.

– სკოლაში ეუბნებოდა, წამოდი, არ გინდა სექსიო? მოჰყავდა და ხან ქვემოთ კლუბში შეჰყავდა, ხან ტუალეტში. ვითომ ნათესაური კავშირით შემოდიოდა. მაგას ნათესავი ჰქვია? ბავშვი არაფერს ამბობდა. ყელზე დანას ადებდა, რომ არაფერი ეთქვა. ეს ყველაფერი თურმე ერთი წელი გრძელდებოდა. ბავშვი დაშინებული ჰყავს, – აცხადებდა ოჯახის წევრი.

14 წლის მოზარდის წინააღმდეგ გამოძიება ოჯახის წევრების საჩივრის საფუძველზე დაიწყო, რის შემდეგაც მოძალადე პოლიციამ საკუთარ სახლში დააკავა.

მოძალადესთან ერთად პატიმრობაში გადაიყვანეს დაზარალებული ძმების მამაც, რომელმაც შემთხვევის გაგების შემდეგ ბრალდებულს ჭრილობა ყურის არეში მიაყენა.

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსი ტურისტი გააუპატიურეს

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსი ტურისტი გააუპატიურეს. ამის შესახებ ინფორმაციას „სპუტნიკი“ ავრცელებს.

როგორც გუდაუთის რაიონის ე.წ. შს რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელმა ზუსმა გუცბამ განაცხადა, მილიციაში მიიყვანეს კაცი, რომელმაც, რუსი ტურისტის თქმით, ის გააუპატიურა.

გუცბას თქმით, მასალები პროკურატურას გადაეცა. ახლა ჩატარდება ექსპერტიზა და მომდევნო მოქმედებები ამის საფუძველზე გადაწყდება.

„მთხოვდა, სექსუალური კავშირი მქონოდა რამდენიმე ადამიანთან... 18 წლის გოგოს სკანდალური ჩვენება

სქესობრივი კავშირის იძულება, სიცოცხლის მოსპობის მუქარა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა – მხოლოდ სამ თვეში სპეციალურმა საგამოძიებო უწყებამ ამ ბრალდებით 4 პირი დააკავა.

18 წლის გოგოს მძიმე ისტორია 3 წლის წინ დაიწყო. მსხვერპლი „კურიერთან“ იხსენებს, რომ სოციალურ ქსელში გაცნობილი მამაკაცი მას ინტიმური ფოტო-ვიდეო კადრების გაგზავნას ჯერ კიდევ მაშინ სთხოვდა, როდესაც არასრულწლოვანი იყო. სავარაუდო დამნაშავემ რამდენიმეთვიანი კონტაქტის შემდეგ, უკანონოდ მოპოვებული კადრებით მუქარა და შანტაჟი დაიწყო. მოძალადე მსხვერპლს შეხვედრას და სექსუალური კავშირის დამყარებას აიძულებდა, მათ შორის, სხვა პირებთანაც. დაზარალებული ამბობს, რომ მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გამო, ექიმების დახმარება დღემდე სჭირდება.

ვიდრე მოძალადე შეხვედრას აიძულებდა, გოგონამ მომხდარი ჯერ მეგობარს უამბო, შემდეგ კი, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შეატყობინა. 27 წლის მამაკაცი მალევე დააკავეს. „კურიერი“ კახეთის ერთ-ერთ სოფელში სავარაუდო მოძალადის სახლში მივიდა, სადაც მომხდარზე საუბარი არ სურთ.

ბრალდებულის ტელეფონიდან 18 წლის გოგონას ინტიმური ფოტო-ვიდეო მტკიცებულებები ამოიღეს. ეს კი, შანტაჟის შემცველი მიმოწერებია. „კურიერი“ მის მხოლოდ მცირე ნაწილს ასაჯაროებს.

კოკა კაციტაძის უწყებამ პირადი ცხოვრების ხელყოფის, მათ შორის, სქესობრივი კავშირის იძულების 5 ფაქტი გახსნა. დაკავებულია 4 პირი, მათ შორის 21 წლის მამაკაცი, რომელმაც პირადი ცხოვრების კადრების გავრცელების მუქარით, დაზარალებულთან სქესობრივი კავშირი იძულებით რამდენჯერმე დაამყარა.

ბრალი წარედგინა პირს, რომელმაც მეუღლეს „ფეისბუკი“ გაუტეხა და მიმოწერებს უკანონოდ ინახავდა.

ინტიმური შინაარსის ფოტო-ვიდეო მასალის და მიმოწერების გავრცელებისთვის, კიდევ 2 პირი გარდაბნის რაიონში აიყვანეს. სპეციალური საგამოძიებო სამსახური პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტებს, უკვე ერთ წელზე მეტია იძიებს. მუშაობს ცხელი ხაზიც.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გამოძიება, პირადი ცხოვრების ხელყოფის 138 ფაქტზე დაიწყო. პასუხისგებაში კი, 32 პირი მიეცა. სისხლის სამართლის მუხლები, რომლებიც ამ ტიპის დანაშაულს გულისხმობს, 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პროკურორი: „ლაზარე გრიგორიადისის ქურთუკზე ნავთობპროდუქტების კვალი ამოვიდა“

პოლიციელების ჯანმრთელობის ხელყოფისა და სახელმწიფო ქონების განადგურების ფაქტებზე ბრალდებულ ლაზარე გრიგორიადისის საქმეზე პროკურატურამ სასამართლოში სახანძრო-ტექნიკური, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა წარადგინა.

როგორც სასამართლო სხდომის დაწყებამდე საქმის პროკურორმა თამარ იაკობიძემ განაცხადა, აღნიშნული დასკვნით ლაზარე გრიგორიადისის ქურთუკზე ნავთობპროდუქტების კვალი ამოვიდა, რითაც ბრალდებულის ე.წ. მოლოტოვის კოქტეილთან შემხებლობა დასტურდება.

სხდომაზე ასევე, პროკურატურის მოწმეებს დაკითხავენ, რომლებიც, შესაძლოა, პოლიციელები იყვნენ.

როგორც გრიგორიადისის მამა, ბექა გრიგორიადისმა განაცხადა, იმედს გამოთქვამს, რომ პოლიციელები ცრუ ჩვენებას არ მისცემენ.

ამასთან, გრიგორიადისის ოჯახის წევრებს უჩნდებათ კითხვა, თუკი პოლიციელები ადგილზე იმყოფებოდნენ და დაინახეს გრიგორიადისის მხრიდან რაიმე სახის დანაშაულის ჩადენა, რატომ არ დააკავეს ის იქვე და რატომ მოხდა ეს რამდენიმე დღის შემდეგ.

ჩემი მოთხოვნაა, პოლიციელმა ჩვენების მიცემისას არ იცრუოს და მოსამართლემ ის განაჩენი არ გამოიტანოს, რასაც ზემოდან ავალებენ. როგორც ვიცი, დღეს 4 პოლიციელს დაკითხავენ, იმედს ვიქონიებ, რომ არ იცრუებენ. თუ იცრუებენ, სტრასბურამდე მივიყვან საქმეს და ყველას გავასამართლებ ცრუ ჩვენებისთვის. ისე იქცევიან, „არ ბნელა“ – განაცხადა ბექა გრიგორიადისმა.

სხდომას ესწრება ბრალდებული ლაზარე გრიგორიადისი, ის დუმილის უფლებით სარგებლობს.

ცნობისთვის, ლაზარე გრიგორიადისს, რომელსაც პოლიციელების ჯანმრთელობის ხელყოფისა და სახელმწიფო ქონების განადგურების ფაქტებზე ედება ბრალი, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 31 მარტს შეეფარდა.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა 7 მარტს, რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის მიმდინარეობისას, 9 აპრილის ქუჩაზე შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მიმართულებით, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ორჯერ ისროლა ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი.

ასევე, ბრალდებულმა 9 მარტს, ჭანტურიას ქუჩაზე, განზრახ წაუკიდა ცეცხლი შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ „ტოიოტა კოროლას“ მოდელის ავტომანქანას, რომელიც ადგილზე დაიწვა. ამ ქმედების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს 39 500 ლარის ქონებრივი ზიანი მიადგა.

ლაზარე გრიგორიადისს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით (პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით) და 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სხვისი ნივთის განადგურება, ცეცხლის წაკიდებით) წარედგინა, რაც სასჯელის ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

7-8 მარტის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსით, ჯამში, 6 პირი დააკავეს, მათგან 5 ბრალდებული გირაოს სანაცვლოდ არის გათავისუფლებული.

ქობულეთში სიმაღლიდან 35 წლამდე მამაკაცი გადმოვარდა და დაიღუპა

TV 25-ის ინფორმაციით, ქობულეთში, სიმაღლიდან ვარდნის შედეგად 35 წლამდე ასაკის კაცი დაიღუპა. შემთხვევა ცოტა ხნის წინ, რუსთაველის ქუჩაზე მოხდა. ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარებას კაცი უკვე გარდაცვლილი დახვდა. რუსთაველის ქუჩაზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ.

საზოგადოება

ინგა ფერაძე საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

არის სტადიები და ხარისხები, ეს არის ყველაზე მაღალი ხარისხის მარტოობა. რომ ნახოთ ჩვენი შეხვედრის პირველი ვიდეო და შემდეგ მე-5, მე-7, მე-10 ვიდეო, ეს არის ცა და მიწა. ადამიანი გამოცოცხლდა, ტვინი ვარჯიშობს, მახსოვრობა უბრუნდება, ჩემს სახელს ვერ იმახსოვრებდა ძალიან დიდი ხანი. ახლა უკვე ახსოვს. მშობლიური გარემო, რომელშიც გაიზარდა, ძალიან აკლია. ქართული ენა, ურთიერთობა, იმიტომ, რომ იმ საერთო ოთახში, სადაც მოხუცები სხედან, ძალიან კარგი სივრცეა – ტელევიზორი კიდია, ჩაის სვამენ – მაგრამ 35 მოხუციდან 34 საუბრობს უცხო ენაზე, რომელიც ინგამ არ იცის. როცა შედიხარ, აბსოლუტურად მოწყვეტილია სამყაროს. ჩემი გამოჩენა მისთვის არის სიხარული.

ახლა ალბათ გამოჩნდებიან ისეთები, ვინც ინგასთვის დახმარებას კი არ შეეცდებიან, არამედ მასზე და მის ოჯახზე ჭორაობას დაიწყებენ. ოჯახიდან მას ჰყავს ერთადერთი ქალიშვილი, რომელსაც ჰყავს 5 მცირეწლოვანი შვილი, ქალები განსაკუთრებით მიხვდებით, რას ნიშნავს 5 ბავშვის მოვლა. ის სხვა ქალაქში ცხოვრობს და დედა რომ ნახოს, რამდენიმე საათი სჭირდება. არც ძიძა ჰყავს, არც დამხმარე. ეს გოგო როგორც ახერხებს, გარბის დედის სანახავად, რომ ტკბილეული მიუტანოს, ესაუბროს. ეს არის და ეს. 10 სიტყვაში ერთი, რომელიც ინგასგან ისმის, ეხება საქართველოს, თბილისს, მეგობრებს – ეს არის საოცარი სევდა, სიტყვით აღუწერელი. მაქსიმალურად ვცდილობ გესაუბროთ სტერილურად, არაემოციურად, მაგრამ ამის ყურება არის ძალიან ძნელი.

ინგასთვის საქართველოში დაბრუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სანამ მისი ტვინი ჯერ კიდევ ცოცხალია და მას შეუძლია რეალობის აღქმა, მოდით, ნუ გავუშვებთ ამ ქვეყნიდან გულნატკენს და სევდიანს. ნუ დაველოდებით; სანამ არ მოკვდება. სანამ არ მოკვდება, არ გაცოცხლდება, როგორც ვხვდები. რომ მოკვდება, მერე ალბათ მის სურათებს და სიმღერებს გამოვფენთ, სახეს ჩამოვიხოკავთ და მაშინ გაცოცხლდება. აგერ, ცოცხალია და ნუ მოვკლავთ, რა! მგონია, რომ ერთი ინგა ფერაძის შენახვა არ უნდა იყოს რთული საქართველოსთვის. არავის მისამართით არ ვისვრი კენჭებს, არავის არ ველაპარაკები ნიშნის მოგებით, მაგრამ ვინც არიან საქართველოში, თუ არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ინგა ფერაძის ბოლო წლები და შეიძლება ბოლო თვეები რაღაცნაირად გაალამაზონ, იქნებ რამე გავაკეთოთ, თუ არ არიან და ჩვენ გავაკეთოთ. ისე ნუ გავაკეთებთ,

როგორც ერთი ჩვენი თანამემამულე მომღერლის შემთხვევაში მოხდა, რომელიც ამერიკაში გარდაიცვალა, შემდეგ მისი საქართველოში გადმოსვენება იყო მთელი პრობლემა, რომ გადმოასვენეს, ფილარმონიასთან მიასვენეს და ძეგლი გაუხსნეს. მოვრჩეთ, რა, ამას!

განა რა უნდა იყოს ერთი ინგა ფერაძის შენახვა, არაფერს არ ჭამს, არაფერს არ სვამს განსაკუთრებით, არც ძვირადღირებული მედიკამენტები სჭირდება. არ მინდა, რომ ეს სირცხვილი ვჭამოთ. ამას რომ ვამბობ, ბოდიშს გიხდით, არავისზე მაღლა არ ვაყენებ თავს, უბრალოდ ამას შევესწარი, ამას ვხედავ და ამაზე რეაგირების არმოხდენა წარმოუდგენელია. ნებისმიერი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩემს ადგილას, იგივეს იტყოდა.

3 წლის განმავლობაში არავინ მისულა მასთან აქაური ქართველებიდან, 24 მაისს ჰქონდა დაბადების დღე. ვნახე ფეისბუქში 2 ჯგუფი ქართველი ემიგრანტების, წინასწარ დავდე ინფორმაცია, რომ ინგას დაბადების დღე აქვს, შეიძლება იყოს ბოლო დაბადების დღე, თუ ვინმეს გაქვთ დრო და სურვილი, იქნებ ნახევარი საათით მიხვიდეთ, იმიტომ, რომ მართლა ეს არის მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ ვერ წარმოიდგენთ, როგორ იცვლება ადამიანი, როცა ესმის ქართული ენა. ერთი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც იმ დღეს მოვიდა და ვარდები მიართვა. არავის განვიკითხავ, ვიცი, რომ ყველას საქმეები გაქვთ, ყველას გაგიმარჯოთ.

ამ შემთხვევაში, იმ ქართველებს მოგმართავთ, ვინც საქართველოში დარჩით – რამე გავაკეთოთ ამ ქალისთვის, რამე მოვიფიქროთ, ნუ დაველოდებით მის სიკვდილს და სანამ ცოცხალია, სანამ საღ გონებაზეა, რამე გავუკეთოთ. ვინანებთ მერე, შეგვრცხვება. აქედან იმიტომ არ მივდივარ, რომ ჩემთვის უკვე მეორე და მესამეხარისხოვანია, რას გადავიღებ ინგას შესახებ, ფილმი იქნება თუ საერთოდ არ იქნება.

ასე მგონია, რომ რაც დაშავებული მაქვს ცხოვრებაში, რასაც უკვე ვეღარასოდეს ვერ გამოვასწორებ, იქნებ ინგათი მაინც გამოვისყიდო. ვიცი, გამოჩნდებიან ისეთები, ვისაც ეს სასაცილოდ არ ეყოფა, მაგრამ ასეა. ალბათ არც თქვენ ხართ იდეალურები, რაღაცებს ნანობთ, რაღაც შეცდომებს და მოდით რა, ერთად გავაკეთოთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

უკრაინელები უტევენ

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ვითარება კალეიდოსკოპური სიჩქარით იცვლება. თუ რაღაც ორიოდ კვირის წინ რუსები ბახმუტის, ავდეევკის ან მარინკის მახლობლად უტევდნენ, ახლა უკრაინელები მთელს ფრონტზე გადავიდნენ შეტევაზე. ეს თანაბრად შეეხება როგორც ბახმუტს, ავდეევკასა და მარინკას, ასევე ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქებსაც.

ფრონტის ყველაზე ცხელ წერტილად კვლავ ბახმუტი რჩება. უფრო სწორად, საუბარია არა თავად ქალაქზე, არამედ მის ნარჩენებზე. ბახმუტი მთლიანად დაინგრა, მაგრამ ოკუპანტებმა მისი აღება ვერ შეძლეს. მეტიც, უკრაინულმა არმიამ კონტრშეტევები განახორციელა და შედეგად დაფიქსირდა წინსვლა როგორც თავად ბახმუტში, ასევე ფლანგებზე. კერძოდ, უკრაინელთა კონტროლქვეშ გადავიდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კლისჩიევკა. მარცხით დასრულდა რუსების ყველა მცდელობა, განედევნათ იქიდან უკრაინელები. თავად ბახმუტში უკრაინელთა წინსვლა გრძელდება. მართალია, უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში უკრაინელებმა წინ მხოლოდ 500 მეტრით წაიწიეს, მაგრამ თავად წინსვლა უდავოდ მრავლისმეტყველია.

– მართალია, ბახმუტში ჯერჯერობით დიდი წინსვლა არაა, მაგრამ თავად წინსვლის ფაქტი მრავლისმეტყველია, – აცხადებს უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი.

ბახმუტის გარდა, უკრაინელთა წინსვლა დაფიქსირდა ავდეევკასთანაც. მართალია, რუსებმა ავდეევკასთან სატანკო ბრიგადას მოუყარეს თავი, მაგრამ რაიმე აქტიურ მოქმედებებს ჯერჯერობით ადგილი არა აქვს. რაც შეეხება მარინკას, აქ მდგომარეობა უცვლელია. მარინკის ნახევარს უკრაინელები აკონტროლებენ, ნახევარს – რუსები.

პარალელურად უკრაინელები განაგრძობენ წინსვლას დონბასის მთელს ფრონტზე. უკრაინელებმა განდევნეს ოკუპანტები შემდეგი დასახლებული პუნქტებიდან: ნოვოსელოვკა, ბლაგოდატნოე, ნუდნო და სტოროჟევსკოე. უკრაინელთა კონტრშეტევა წარმატებით ვითარდება ზაპოროჟიეს ფრონტზეც, კერძოდ, უკრაინელებმა წარმატებითი ოპერაციები ჩაატარეს ორიახოვოს რაიონში. შედეგად რიგი დასახლებული პუნქტი უკრაინელების ხელში გადავიდა. უკრაინული არმია განაგრძობს წარმატებულ წინსვლას ზაპოროჟიეს ოლქში.

შედარებით მძიმე ვითარებაა ხერსონსჩინაზე. კახოვკის ჰესის აფეთქების შედეგად უკრაინელთა წინსვლა შეჩერდა. მართალია, უკრაინული არმია დნეპრის ფორსირებისათვის მზად იყო, მაგრამ ჰესის აფეთქების შედეგად ეს გადაიდო.

ამრიგად, ფრონტის ყველა უბანზე უკვე უკრაინელები უტევენ. ექსპერტებიც რუსების მოსალოდნელ დამარცხებაზე ალაპარაკდნენ. თვით რტრ-ზეც გაისმის ხმები, რომ პუტინმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა და აუცილებელია ცვლილებები.

აშშ-ს გაეროს უშიშროების საბჭოს გაფართოება სურს

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს უნდა გაფართოება. მასში კიდევ ექვსი ქვეყანა უნდა შევიდეს.

– გაერო ვერ რეაგირებს თანამედროვე გამოწვევებზე. განსაკუთრებით ეს ეხება რუსეთ-უკრაინის ომს, – თქვა ბაიდენმა.

რომის პაპმა ზელენსკის წერილი მისწერა

რომის პაპმა ფრანცისკმა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის წერილი მისწერა. მასში ნათქვამია, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის დავა უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით.

– რუსეთი თავისად თვლის დონბასს, უკრაინის სამხრეთს, აგრეთვე ყირიმს. უკრაინა ამას არ ეთანხმება. ჩვენ შემოვდივართ წინადადებით, რომ ტერიტორიული დავა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას, – აცხადებს პაპი.

უკრაინელების ხელშია ზაპოროჟიეს ოლქის სოფლები

უკრაინაში ბრძოლები გრძელდება. უკრაინული არმია წინსვლას განაგრძობს. დონბასში უკრაინულმა არმიამ დაიკავა ბლაგოდატნოე, მაკარიევკა და ა.შ. უკრაინელთა კონტროლქვეშ მოექცა ავდეევკის გარშემო მდებარე რამდენიმე სტრატეგიული პუნქტი.

უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას ზაპოროჟიეს ოლქშიც. დროებით ოკუპირებულ მელიტოპოლში ყოველდღე გაისმის აფეთქებები. უკრაინელების ხელშია ზაპოროჟიეს ოლქის სოფლები: ორიახოვო და ლობკოვე.

ეს ჯერ ფართომასშტაბიანი კონტრშეტევა არაა!

რუსმა ექსპერტებმა უკრაინული არმიის წინსვლა აღიარეს. ამავე დროს მათ საკუთარი ინტერპრეტაცია მისცეს პროცესებს.

რუს პოლიტიკოსს პასუხი გასცა მისმა უკრაინელმა კოლეგამ, უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა დანილოვმა. მან განაცხადა, რომ უკრაინელების კონტრშეტევები ჯერჯერობით ლოკალურ ხასიათს ატარებს.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

გასულ დღეს უკრაინელებმა 470 რუსი ოკუპანტი მოკლეს. სულ ომის დაწყებიდან დღემდე, რუსების რიგები შემდეგი მსხვერპლია: ტანკები – 3.935, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 7.642, თვითმფრინავები – 314, უპილოტო საფრენი აპარატები – 3.309, ფრთოსანი რაკეტები – 1.183, გემები და კატერები – 18, განადგურებულია 217.650 ოკუპანტი. უკრაინელთა დანაკარგია 27.000 ჯარისკაცი.

ფრონტებზე წარუმატებლობითა და მასობრივი დანაკარგებით გაბოროტებულმა რუსებმა უკრაინის ტერიტორიის მასობრივი დაბომბვები განაახლეს.

დაიბომბა კრივოი როგი, აგრეთვე ხარკოვის, სუმის და პოლტავის ოლქები. დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. მხოლოდ კრივოი-როგში დაიღუპა 3 მოქალაქე. ნანგრევებში მოჰყვა შვიდი ადამიანი.

– უკრაინელები წინააღმდეგობას განაგრძობენ. ისინი დონბასის და ზაპოროჟიეს ოლქის პატარ-პატარა ქალაქებს იკავებენ. პასუხად რუსები კონტრზომებს ახორციელებენ. შედეგად იღუპებიან მშვიდობიანი მოქალაქეები, – აცხადებს ბელორუსი თვითმარქვია პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

დენვერმა ნბა-ს ჩემპიონობა პირველად მოიპოვა

ნბა-ს ახალი ჩემპიონი ჰყავს – დენვერ ნაგითსმა სუპერფინალში მაიამი ჰითს 4:1 მოუგო და ტიტული ისტორიაში პირველად მოიპოვა.

კოლორადოელებმა გადამწყვეტ მატჩში მეტოქე საკუთარ მოედანზე 94:89 დაამარცხეს. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ მაიამი იგებდა და შანსს იტოვებდა, მომდევნო თამაშისთვის ფლორიდაში ემასპინძლა და სერია გაეთანაბრებინა.

თუმცა, ნიკოლა იოკიჩმა და მისმა თანაგუნდელებმა დასკვნითი ნაწილი უკეთ ჩაატარეს და ჩემპიონობა ხელიდან აღარ გაუშვეს.

თავად იოკიჩი კი, სუპერფინალის მვპ გახდა. ამასთან, პირველი კალათბურთელი, ვინც დრაფტზე ტოპ 15-ს მიღმა აირჩიეს და რეგულარული სეზონისა და სუპერფინალის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. ბოლო 20 წლის მანძილზე კი, პირველი ცენტრი, ვინც ეს ჯილდო დაიმსახურა.

მაიამელებთან იოკიჩმა 28 ქულა, 16 მოხსნა და 4 პასი მოინაგრა. სერიაში კი მისი საშუალო მაჩვენებელი 30.2 ქულა, 14 მოხსნა და 7.2 პასია.

უმცროსი ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრნენ

საქართველოს ნაკრები 30 მორაგბით მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა.

ჩემპიონატი კოვიდ-პანდემიით გამოწვეული 3-წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ წელს პირველად, 24 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით, იმართება. უმცროსი ბორჯღალოსნები გ ჯგუფში მასპინძელი სამხრეთ აფრიკის, არგენტინისა და იტალიის წინააღმდეგ ითამაშებენ; ა ჯგუფში საფრანგეთი, ახალი ზელანდია, უელსი და იაპონია, ხოლო ბ ჯგუფში ინგლისი, ირლანდია, ავსტრალია და ფიჯი მოხვდნენ.

ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, ოთხი საუკეთესო გუნდი თასისთვის აგრძელებს ბრძოლას, მომდევნო ოთხეული 5-8 ადგილებს, ხოლო მესამე ოთხეული 9-12 ადგილებს გაითამაშებს. მე-12 ადგილზე გასული გუნდი გაისად ალაფაზე დაქვეითდება.

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა 20-წლამდელთა ჩემპიონატზე, რომელიც 2008 წლიდან ტარდება, პირველად 2016 წელს ითამაშეს, მე-10 ადგილი დაიკავეს და ალაფიდან დაწინაურებული პირველი გუნდი გახდა, რომელმაც 12-გუნდა ელიტაში ადგილი შეინარჩუნა. 2017 და 2019 წლებში საქართველო ასევე მეათე იყო, 2018 წელს კი ჯერჯერობით სარეკორდო, მე-9 ადგილი დაიკავა.

2023 წლის მსოფლიო თასისთვის უმცროსი ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბმა 30 მორაგბე შეარჩია. ამას წინ უძღოდა მართვადი თამაში საფრანგეთში, ფრანგ თანატოლებთან და ორი ტესტ-მატჩი ინგლისთან თბილისში, რომელთანაც მეორეში საქართველომ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა – 40:38 (პირველი შეხვედრა ინგლისის გამარჯვებით დასრულდა 41:36).

სამხრეთ აფრიკაში წამსვლელთა შორის 17 მორკინალი და 13 ხაზის მოთამაშეა. 30 მორაგბიდან 15 ლეგიონერია. გუნდში 11 ისეთი მოთამაშეა (2004 წელს დაბადებული), რომელიც 20-წლამდელთა ჩემპიონატს გაისადაც ითამაშებს. სამწუხაროდ, გვაქვს დანაკლისიც.

უმცროსი ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკაში გუშინ ჩავიდნენ და ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს მასპინძლებთან 24 ივნისს, სტელენბოშში გამართავენ. 29 ივნისს მათი მეტოქე არგენტინა იქნება, ხოლო 4 ივლისს იტალიას ვერკინებით. ნახევარფინალური შეხვედრები 9 ივლისსაა ჩანიშნული, ფინალები – 14 ივლისს. რომელი ადგილისთვის გააგრძელებს ბრძოლას საქართველო და ვინ იქნება მისი მეტოქე, ჯგუფში დაკავებული ადგილის მიხედვით გაირკვევა.

ლადო კილასონია, გუნდის მთავარი მწვრთნელი:

– ნიკა სუთიძე მთელი მოსამზადებელი პერიოდი გვერდში გვედგა, ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო და სამხრეთ აფრიკაში ძალიან დაგვაკლდება. მინდა მას დიდი მადლობა გადავუხადო ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთა. გვაქვს მიკროტრავმები, თუმცა საშიში არაფერია. 19 ივნისს შემოგვიერთდება სერგო აბრამიშვილი.

წლების განმავლობაში 20-წლამდელთა გუნდში ასეთი მიდგომა გვქონდა – თუ მორაგბეები მეტ-ნაკლებად თანაბარი დონის იყვნენ, არჩევანს ერთი წლით უმცროსებზე ვაკეთებდით, რაც მომდევნო წლისთვის გამოცდილი მოთამაშეების ბირთვის არსებობას განაპირობებდა. როდესაც გუნდში გყავს მორაგბეები, რომლებმაც ზუსტად იციან, რა დახვდებათ ტურნირზე, რა არის საჭირო სათანადოდ მოსამზადებლად, ძალიან კარგია. ამ გუნდშიც არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებმაც შარშან ექვსი ერის 20-წლამდელთა ზაფხულის სერიებში უდიდესი გამოცდილება შეიძინეს და ეს ძალიან გვახარებს. მათ იციან, როგორია ყოველ 5 დღეში თამაში და როგორ უნდა მოემზადონ თამაშიდან თამაშამდე.

ინგლისთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ სამხრეთ აფრიკაში ამაღლებულ განწყობაზე, თავდაჯერებულები მივდივართ, თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი განსხვავებული ფორმატია და მეტოქეებიც უძლიერესები არიან. ჩვენი თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, ზუსტად ვიცით, რომ ზერელედ არავინ მოგვიდგება და ყველა გუნდი მაქსიმალური მობილიზებით გვეთამაშება. ყოველ შემთხვევაში, მე რომ საქართველოს მეტოქე გუნდის მწვრთნელი ვიყო, მასთან თამაშს ორმაგი სიფრთხილით მოვეკიდებოდი. ჯგუფურ ეტაპზე ძლიერი მეტოქეები გვყავს. სამხრეთ აფრიკა მასპინძელია და ყველა ჩემპიონატზე, რომელშიც აქამდე მონაწილეობდა, ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე კი, გაორმაგებული მონდომებით ითამაშებს. ძალიან მაგარია, ინგლისი რომ დავამარცხეთ, თუმცა იტალიასაც კარგი თაობა ყავს და 2022 წელსაც მანაც მოახერხა ინგლისის დამარცხება, თანაც ორჯერ 1 წლის განმავლობაში. მაღალი დონის, სწრაფი და მოძრავი გუნდია არგენტინა, რომელიც მეტოქეს შეცდომას პრაქტიკულად არასდროს პატიობს. ასე რომ, რთული თამაშები გველის და ჩვენი მთავარი მიზანი თამაშიდან თამაშამდე ხარისხის გაუმჯობესება იქნება. საფრანგეთსა და ინგლისთან მიღებული გამოცდილება ძალიან წაგვადგება, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

უმცროსი ბორჯღალოსნების შემადგენლობა 2023 წლის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე ასეთი იქნება:

შერკინება: გიორგი მამაიაშვილი, ირაკლი აფციაური, გურამ ღანიაშვილი (ყველა გრენობლი, საფრანგეთი), სერგო აბრამიშვილი (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ლაშა ფხაკაძე, რატი ზაზაძე (ორივე ნეველი, საფრანგეთი), ბასა ხონელიძე, ნიკოლოზ საყვარელიძე (ორივე ორიაკი, საფრანგეთი), ბადრი ციხისთავი, ლაშა ციხისთავი (ორივე ბეიონი, საფრანგეთი), დავით მჭედლიძე (ტულონი, საფრანგეთი), გიორგი გერგედავა (კლერმონი), გიორგი ნიკოლაძე (აია), ნიკა ლომიძე (ხარები), ნიკა ბაბუნაშვილი, თორნიკე ღანიაშვილი (ორივე ლელო), თამაზ ჭამიაშვილი (ხარები);

ხაზი: დავით ხუროშვილი, სანდრო ჯიღაური, პეტრე ხუციშვილი, გელა ხელაძე, შალვა აფციაური, ლუკა ხორბალაძე, ლუკა ცირეკიძე, ვაჟა მიქაძე, (ყველა ლელო), ნიკოლოზ კუპრაშვილი (ყოჩები), ნიკოლას რაგოევი (ნეველი, საფრანგეთი), გიორგი შველიძე (ბრივი, საფრანგეთი), თორნიკე კახოიძე (შავი ლომი), ლუკა კობაური (პერპინიანი, საფრანგეთი).

მოამზადა მიხეილ ფორეოლიანმა

საქართველოს ნაკრები მზადებას აგრძელებს

საქართველოს ნაკრები კვიპროსსა და შოტლანდიასთან მატჩებისთვის მზადებას სრული შემადგენლობით განაგრძობს.

ჩვენმა გუნდმა კვლავ დინამო თბილისის ბაზაზე ივარჯიშა, სადაც შეკრების დაწყებიდან ემზადება ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის უახლოესი მატჩებისთვის. საწვრთნელ პროცესში 25 ფეხბურთელი მონაწილეობდა.

საქართველოს ნაკრები თბილისში 15 ივნისამდე მოემზადება, კვიპროსთან მატჩამდე ორი დღით ადრე კი, ჩვენი გუნდი ლარნაკაში გაემგზავრება.

ჩვენი გუნდის გაფართოებული შემადგენლობა კი ასეთია:

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვი, პოლონეთი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გიორგი გველესიანი (პერსეპოლისი, ირანი), ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი), ჯიმი ტაბიძე (დინამო თბ), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა);

ნახევარდაცვა: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი) ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი (ორივე დინამო ბთ), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), საბა ლობჟანიძე (ქარაგუმრუქი, თურქეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

თავდასხმა: გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია), გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი).

შეგახსენებთ, 17 ივნისს ჩვენი ეროვნული გუნდი კვიპროსს ესტუმრება, ხოლო 20-ში – შოტლანდიას.

სატურნირო ცხრილს ორი მოგებით შოტლანდია ლიდერობს. ორი თამაშიდან სამი ქულა აქვს ესპანეთს. ჩვენ და ნორვეგიელებს თითო ქულა გვაქვს, მაგრამ ჩვენ ერთი მატჩიდან, ხოლო ნორვეგიას ორი შეხვედრა აქვს ჩატარებული. ბოლოზე კი, თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი უქულო კვიპროსია, რომელმაც ორივე თამაში წააგო.

შვიდქალა ნაკრები ევროპას უმიზნებს

საქართველოს 7-ქალა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე აქამდე არასდროს უთამაშია და ამის გაკეთებას წელს შეეცდება. ჯაბა მალაღურაძის გაწვრთნილი გუნდი რაგბი ევროპის ალაფაზე ითამაშებს, რომელიც ორ ეტაპად გაიმართება: 16-18 ივნისს ზაგრები (ხორვატია) უმასპინძლებს, ხოლო 7-8 ივლისს – ბუდაპეშტი (უნგრეთი).

ზაგრების ეტაპზე საქართველო C ჯგუფში უნგრეთთან, ავსტრიასთან და ბულგარეთთან მოხვდა. A ჯგუფში თურქეთი, დანია, მოლდოვა და უკრაინა ითამაშებენ, ხოლო B ჯგუფში ნორვეგია, ფინეთი, ისრაელი და ლატვია.

16 ივნისს ჩვენი გოგონები მოედანზე ბულგარეთის და ავსტრიის წინააღმდეგ გავლენ, ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრას კი 17 ივნისს, უნგრეთთან გამართავენ. ამავე დღეს გაიმართება თასის მეოთხედფინალური შეხვედრები, 18-ში კი, ნახევარფინალების და ფინალების დრო დადგება.

ჯაბა მალაღურაძე, 7-ქალას ნაკრების მწვრთნელი:

– პროდუქტიული მოსამზადებელი ეტაპი გვქონდა. ძალიან წაგვადგა პარიზისა და ტურის ტურნირები. ვთვლი, რომ დეტალები, რაზეც სამუშაო გვქონდა, გამოვასწორეთ და მზად ვართ მიზნისთვის საბრძოლველად. კარგია, რომ საწყისი ორი მატჩი კონფერენს დივიზიონიდან დანიისა-რებულ ბულგარეთსა და ავსტრიასთან გვექნება – ტანდებით და უნგრეთთან ჯგუფში პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ. უნგრეთი უხერხული მეტოქეა, მაგრამ მჯერა, გამარჯვება შეგვიძლია. რაც შეეხება ზოგადად მეტოქეებს, ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლაში კონკურენტები უკრაინა, თურქეთი და ნორვეგია იქნებიან. მიუხედავად ყველაფრისა, ზაგრებში პროგრამა მინიმუმი ფინალში გასვლა იქნება. ვფიქრობ, ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად და ტაქტიკურად მზად ვართ იმისათვის, რომ წელს რაგბი ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ვიბრძოლოთ. ეს ჩვენი საერთო მიზანია.

7-ქალას შემადგენლობა რაგბი ევროპის ალაფის პირველ ეტაპზე (ზაგრები):

ნათია გავაშელიშვილი (რუსთავი), თეონა ჩიტაიშვილი, თამარ მანაგაძე (ორივე ქუთაისი), სალომე მაკასარაშვილი, სალომე საღარაძე, ირმა გულიაშვილი, მანონი საღარაძე, მარიამ გოგუაძე (ყველა თბილისი), ლიკა ხუფენია (ზუგდიდი), ანა კაპანაძე (ოზურგეთი), ანა დათიაშვილი, ანანო ხაბულიანი, ლიკა ბჟალავა (ლოკომოტივი).

გოგონები ზაგრებში დღეს გაემგზავრებიან.

ქვიშის ნაკრების სინგაპურული წარმატება

სინგაპურში ქვიშის მსოფლიო სერიის მეორე ეტაპი გაიმართა, რომელიც პარალელურად ქვიშის მეორე მსოფლიო თამაშების მეხუთე სალიცენზიო ტურნირი იყო. საქართველოს ქვიშის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა კვლავ დიდ წარმატებას მიაღწია – 3 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გუნდურ ჩათვლაში კი პირველი ადგილი დაიკავა.

ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ: ნიკა კენჭაძე (80კგ), დავით ფირუზაშვილი (90) და მამუკა კორძაია (+90), ლევან ქელეხსაშვილმა კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (70).

ქვიშის ჭიდაობაში მსოფლიო სერიის მესამე ეტაპს საფრანგეთის ქალაქი ნიცა 28-30 ივნისს უმასპინძლებს.

ქვიშის მსოფლიოს მეორე თამაშებს, რომელიც გაიმართება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის ეგიდით, ბალი (ინდონეზია) 5-12 აგვისტოს უმასპინძლებს და მასში მონაწილეობას საქართველოს ქვიშის მოჭიდავეთა და წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდები მიიღებენ.

სუპერთასი ახალი ფორმატით

საქართველოს სუპერთასი ახალი ფორმატით გაიმართება. სლავა მეტრეველის სახელობის მატარებელ ტურნირში ოთხი გუნდი ითამაშებს. მოქმედი ჩემპიონი თბილისის დინამო, დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი ქუთაისის ტორპედო და ეროვნული ლიგის 2022 წლის სეზონში 2-3 ადგილებზე გასული ბათუმის დინამო და გორის დილა.

ნახევარფინალში გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან, ხოლო დამარცხებული გუნდები მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ. საქართველოს სუპერთასის ფინალური შეხვედრა და მესამე ადგილისთვის მატჩი 4 ივლისს გაიმართება.

30 ივნისს, სუპერთასის ნახევარფინალში, ტორპედო ბათუმის დინამოს სამტრედიაში დაუხვდება.

ტორპედომ, ბათუმელებთან ნახევარფინალში მასპინძლის უპირატესობა, როგორც საქართველოს თასის მფლობელმა, მიიღო. ქუთაისში, საგანგებოდ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის განახლებულ რამაზ შენგელია არენაზე, ჯგუფური ეტაპის მატჩები – 22, 25 და 28 ივნისს, ხოლო მეოთხედფინალი 2 ივლისს გაიმართება. აქედან გამომდინარე, ტორპედო ზღვისპირელებს მშობლიურ სტადიონზე ვერ უმასპინძლებს.

სუპერთასის მეორე ნახევარფინალში თბილისის დინამო და გორის დილა შეხვდებიან. აქ მასპინძლის უპირატესობით უკვე დინამო სარგებლობს.

თუ ფინალში თბილისის დინამო გავიდა, იქაც მასპინძლის უპირატესობით ისარგებლებს. დედაქალაქელების შემდეგ ეს პრივილეგია ტორპედოს აქვს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ახალგაზრდულ ნაკრებს კაპიტანი გამოაკლდა

უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატი საქართველოსა და რუმინეთში 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით გაიმართება. თამაშები საქართველოს სამ ქალაქში – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას კი, 8 ივლისს, ბათუმი არენა უმასპინძლებს.

რამაზ სვანაძის გაწვრთნილი გუნდი მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისის ზღვაზე, ილია კოკაიას სახელობის საფეხბურთო ცენტრის მოედანზე განაგრძობს.

გუნდმა 24-კაციანი შემადგენლობით ივარჯიშა. საწვრთნელ პროცესს გუნდის კაპიტანი ანზორ მექვაბიშვილი გამოაკლდა, რომელსაც საზარდული აწუხებს და მოსამზადებელ ეტაპს, რამდენიმე დღე ინდივიდუალური პროგრამით გაივლის.

კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გუნდს ეროვნული ნაკრების მატჩების შემდეგ დაემატება.

21 წლამდე ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა კუტალაძე (დინამო თბ), ლევან თანდილაშვილი (თელავი), ნოდარ ყალიჩავა (სამგურალი);

მცველები: ცოტნე კაპანაძე, ივა გელაშვილი, ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა (ყველა საბურთალო), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა), სანდრო კალანდაძე, საბა ხვადაგიანი, გიორგი მაისურაძე (ყველა დინამო თბ), მათე აბულაძე (სამტრედია), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), საბა საზონოვი (დინამო, რუსეთი);

ნახევარმცველები: ოთარ მამაგეიშვილი, გიზი მამაგეიშვილი, შოთა ნონიკაშვილი (ყველა საბურთალო), გიორგი წიტაიშვილი (ლეხი, პოლონეთი), ნიკა ხორხელი, ნოდარ ლომინაძე (ორივე სამგურალი), გაბრიელ სიგუა, გიორგი მოისწრაფიშვილი, ანზორ მექვაბიშვილი (ყველა დინამო თბ), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), ცოტნე ფაცაცია (შუქურა), ნიკა გაგნიძე (დილა);

თავდამსხმელები: გიორგი გულიაშვილი (სარაევო, ბოსნია), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), გიორგი გაგუა (უნიონი, ესპანეთი), გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), ლადო ჩიხრაძე (სამგურალი).

შეგახსენებთ, რომ რამაზ სვანაძის გუნდი ხვალ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში კვიპროსს ამხანაგურად უმასპინძლებს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპს 21 ივნისს, დინამო არენაზე, პორტუგალიასთან მატჩით გახსნის.

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წევრი

ვახტანგ კაჭარავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 2. ებრაელთა დასახლებული უბანი ძველ თბილისში; 3. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 5. მზის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერგია; 7. ქართული ავიაკომპანია; 9. გერმანული ყველი; 13. ბუდისტთა სამონასტრო კომპლექსი ტიბეტში; 15. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 16. ფიგურული სახაზავი; 18. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 4. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 6 ჩხუბის წამომწყები, აყალმაყალის მოყვარული ადამიანი; 8. პოპულარული ფრანგული ლიქიორი; 10. ლუდის, უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. მოხალული ჭვავისგულიანი ნამცხვარი; 12. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 14. მცენარეული სამყარო; 17. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 19. სოხუმის ძველი სახელწოდება; 20. მდინარე ბოლნისში; 21. ქიმიური ელემენტი, რომელიც ძირითადად წყალმცენარეებისგან მიიღება; 22. ცხვირის ღრუს გასასინჯი სამედიცინო სარკე; 23. კურორტი ბორჯომის ხეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰიტი; 2. დუბაი; 3. იმოლა; 4. ჰუმნი; 5. ლენოვო; 6. კაოშონი; 8. ნოქალაქევი; 10. ლატიფუნდია; 11. დიპლომატი; 14. შეკელი; 15. კაიაკი; 16. ოდესა.

თარაზულად: 1. ჰაიდუკი; 4. ჰელსინკი; 7. ტუმბო; 9. წაბლი; 12. ტოლედო; 13. თქეში; 14. შამოტი; 17. აქლემი; 18. ინდულიგენცია; 19. დიონისე; 20. ქაშერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ალფონსი; 2. პირამიდა; 3. კრახუნა; 5. კოსინუსი; 7. კნესეტი; 9. ჰამილტონი; 13. ლიეტუვა; 15. მთიელი; 16. სეგუნი; 18. ონისე.

თარაზულად: 4. კლინკერი; 6. ჭვიშტარი; 8. კონოსამენტი; 10. კასტელი; 11. მონე; 12. უტოპია; 14. იმედი; 17. მტილი; 19. ხირსა; 20. ჩულურეთი; 21. იგლუ; 22. დირექტივა; 23. ვერსალი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

14 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6057

ევრო — 2.8156

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2748

100 რუსული რუბლი — 3.1193

ამინდის პროგნოზი 14 ივნისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბაპემ პსჟ-დან წასვლა გადაწყვიტა

კილიან მბაპემ პსჟ-ს დატოვება გადაწყვიტა და მან უკვე ამცნო გუნდის ხელმძღვანელობას, რომ ის არ აპირებს ახალი კონტრაქტის გაფორმებას და ახლანდელი კონტრაქტი მბაპეს ერთი წლის შემდეგ უმთავრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მბაპეს მომავალ წელს შეუძლია გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს, ამიტომ პსჟ შეეცდება, ამ ზაფხულშივე გაყიდოს თავისი ფორვარდი. მბაპეს შეძენის სურვილი ბევრ გუნდს აქვს, თუმცა ფავორიტად მადრიდის რეალი ითვლება.

ბარსელონა ფერან ტორესში 40 მილიონს ითხოვს

ბარსელონამ შესაძლოა ფორვარდი ფერან ტორესი გაყიდოს, თუმცა კატალონიელები მას იაფად არ შეელევიან და ბარსელონა მინიმუმ 40 მილიონს ითხოვს. ტორესის ყიდვა რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს, მათ შორის, ტოტენჰემს და არსენალს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვითონ ტორესს ბარსელონაში დარჩენა სურს. ჯერჯერობით უცნობია, დააყენებს თუ არა ბარსელონა ტორესს ტრანსფერზე.

ალექსის მაკალისტერი: „ლივერპული ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნდება“

ლივერპულის არგენტინელმა ახალწვეულმა ალექსის მაკალისტერმა თავის ახალ გუნდზე ლივერპულზე ისაუბრა და თქვა, მიუხედავად იმისა, რომ მომავალ სეზონში ლივერპული ჩემპიონთა ლიგაში არ იქნება, მომავალში გუნდი აუცილებლად ითამაშებს ამ ტურნირში: „სამწუხაროდ, ლიგას წელს მხოლოდ ტელევიზორში ვნახავთ, მაგრამ გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ეს შეიცვლება და ჩვენ არა მარტო დავბრუნდებით, არამედ მოვიგებთ კიდეც ამ ტურნირს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ისეთი გაბრაზებული ვარ ჩემს ქმარზე, ისეთი, რომ...

– რა მოხდა?

– დაბადების დღეზე ანკესი და სხვა სათევზაო მოწყობილობები ვაჩუქე.

– მერე რა? შენი ქმარი ხომ 10 წელია, თევზაობით არის გატაცებული?

– რომ მივეცი, კარგა ხანს ხელში ატრიალებდა და მერე მეკითხება: „ეს რა არის?“

•••

შვილი დედას შესჩივის:

– დღეს მამამ ორჯერ მცემა.

– რატომ?

– პირველად მაშინ მცემა, როდესაც ნიშნების ფურცელი ვაჩვენე.

– და მეორედ რისთვის?

– როდესაც ნახა, რომ ეს მისი ძველი ნიშნების ფურცელი იყო.

•••

სილამაზის კონკურსის წინ ინგლისელი, ფრანგი და რუსი გოგონა გასაუბრებას გადიან. სამივეს ერთი და იგივე შეკითხვა დაუსვეს:

– წარმოიდგინეთ, რომ უკაცრიელ კუნძულზე ოც მამაკაცთან ერთად აღმოჩნდით. როგორ მოიქცევით?

– ღმერთს შევევედრები, რომ გადამარჩინოს! – უპასუხა ინგლისელმა.

– მათ შორის ყველაზე ძლიერს ამოვარჩევ და ის დამიცავს! – უპასუხა ფრანგმა.

– კითხვა გასაგებია და რაშია პრობლემა? – უპასუხა რუსმა.

•••

მოსწავლე მასწავლებელს ეკითხება:

– მასწავლებელო, რამდენი წლისანი კვდებიან ვირები?

– რატომ მეკითხები? თავს ცუდად გრძნობ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თენგიზ მუშკუდიანი 96 წლის გახდა

საოპერო მომღერალი, ბანი, მსახიობი უმაღლესი ჯილდოს „ხელოვნების ქურუმის“ მფლობელი თენგიზ მუშკუდიანი 96 წლის გახდა.

ხელოვანმა მთელი ცხოვრება ქართულ საოპერო ხელოვნებას მიუძღვნა, თუმცა არანაკლებ წარმატებით ითამაშა ქართულ ფილმებშიც. მისი სამსახიობო კარიერის სავიზიტო ბარათია რეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილის ფილმი „აბეზარა“, სადაც არქიტექტორ გიორგის როლი შეასრულა.

თენგიზ მუშკუდიანმა არაერთი უნიჭიერესი მომღერალი აღზარდა. დღეს ისინი როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში წარმატებით მოღვაწეობენ. მისი მოსწავლეები დარწმუნებულები არიან, რომ მაესტრო 100 წლის იუბილესაც იზეიმებს.

რატი ამაღლობელი მკითხველს მწერალთა სახლში ეპატიჟება

პოეტი რატი ამაღლობელი 14 ივნისს თავის ერთგულ მკითხველს მწერალთა სახლში ეპატიჟება. იგი შეკრებილი საზოგადოებისთვის ჯერ არ გამოცემული წიგნიდან „წელიწადის დროები“ ლექსებს წაიკითხავს. მიწვეულ სტუმრებს ექნებათ უნიკალური შესაძლებლობა, პოეტისგან მოისმინონ გამოუქვეყნებელი ლექსები და გახდნენ პირველი მსმენელები.

გრძელდება ის ტრადიცია, რომელიც დავით სარაჯიშვილის სახლში თავიდანვე არსებობდა – აქ ილია და აკაკი კითხულობდნენ და საზოგადოებას აცნობდნენ თავიანთ ჯერ დაუბეჭდავ ნაწარმოებებს, რაც კიდევ უფრო მეტად აღვივებდა ინტერესს ახალი ლექსებისა თუ პოემების მიმართ.

რატი ამაღლობელის პოეზიის საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

ცნობილი ადამიანების შარჟები საჯაროა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა ახალი კოლექცია – 1910-20-იან წლებში ქართულ პრესაში დაბეჭდილი ცნობილი ადამიანების შარჟები შეკრიბა და დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგინა.

პერიოდულ გამოცემებს, რომლებიც საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში იბეჭდებოდა, ცნობილი მხატვრები აფორმებდნენ. მათ შორის იყვნენ შალვა ქიქოძე, მიხეილ ჭიაურელი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ოსკარ შმერლინგი... ილუსტრირებულ გაზეთებში ცნობილი ადამიანების ასეულობით შარჟს შეხვდებით.

ეროვნული არქივის მიერ შექმნილ ონლაინკოლექციაში შესულია პოლიტიკოსების, მსახიობების, მწერლების, კომპოზიტორების შარჟები პერიოდული გამოცემებიდან: „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“ „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“.

კოლექცია, რომელშიც პირველ ეტაპზე 100-ზე მეტი შარჟი გაერთიანდა, ინტერნეტშია ხელმისაწვდომი და მისი დათვალიერება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ბრუნო მარსი „დინამო არენაზე“ იმღერებს

ლეგენდარული მომღერალი ბრუნო მარსი თბილისში ჩამოვა და „დინამო არენაზე“ იმღერებს.

მსოფლიო ვარსკვლავი კონცერტს საქართველოს დედაქალაქში 1 ოქტომბერს გამართავს.

15 გრემის ჯილდოს, 4 გინესის რეკორდისა და უამრავი მუსიკალური პრიზის მფლობელი ბრუნო მარსი „დინამო არენაზე“ შეკრებილი მსმენელისთვის ცნობილ ჰიტებსა და ახალ სიმღერებს შეასრულებს.

მომღერლის კონცერტზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 20 ივნისს დაიწყება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ინგა ფერაძე საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს

მომღერალი ინგა ფერაძე უკვე 3 წელია ბრიუსელში მოხუცთა პანსიონში იმყოფება და სამშობლო ძალიან ენატრება. ირაკლი კორძაია მასთან ბრიუსელში სპეციალურად ჩავიდა, რომ მომღერალზე დოკუმენტური ფილმი გადაეღო, თუმცა უკვე ერთ თვეზე მეტია ინგა ფერაძეს ვერ ტოვებს:

– მინდა ყველას გიამბოთ ინგა ფერაძის მდგომარეობის შესახებ. ბევრმა იცით, რომ ინგა იმყოფება მოხუცთა პანსიონში, ქალაქ ბრიუსელში უკვე 3 წელია. იქ არის ძალიან ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები იმისათვის, რომ ადამიანმა ფიზიკური ცხოვრება განაგრძოს. ჩამოვედი 10 დღით ბრიუსელში იმისთვის, რომ ინგაზე დოკუმენტური ფილმი გადამეღო, მაგრამ ერთ თვეზე მეტია აქ ვარ და ვერ ვტოვებ ინგას. თუ რატომ ვერ ვტოვებ, ამასაც მოგიყვებით: ინგა განიცდის საოცარ მარტოობას. თუ მარტოობაში

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ასტროპროგნოზი

14 ივნისისათვის

ვერძი – ახლობელ ადამიანთან სერიოზულ კონფლიქტს ელოდეთ. შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევას მხოლოდ სიმშვიდითა და ემოციების გაკონტროლებით შეძლებთ. **კურო** – საკვები გულმოდგინედ შეარჩიეთ. ერიდეთ ცხიმიან კერძებს. პროფესიულ საქმიანობაში ინტუიციას დაეყრდენით. **გაუპები** – ნუ მოდუნდებით და რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ბიზნესპარტნიორები თქვენთვის ხელსაყრელ წინადადებას შემოგთავაზებენ. **ციყარა** – თავს კარგად გრძნობთ. ურთიერთობები თანდათან ლაგდება. ნუ იქნებით აგრესიული. **ლომი** – ახლობელი ადამიანი გულს დაგწყვეტთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. ერიდეთ სასიყვარულო თავგადასავლებს. **ქალწული** – პირად ცხოვრებაზე პლანეტა ვენერას რეგრესული მოძრაობა უშუალოდ აისახება. რომანტიკული შეხვედრებისათვის შეუფერებელი დღეა. **სასწორი** – იყავით თვითკრიტიკული და ისწავლეთ საკუთარი თავის სხვის ადგილას დაყენება. შეცდომებზე დაფიქრდით. **ღრიანცელი** – ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდებით, სადაც ყველა თქვენ დაგადანაშაულებთ. თავის მართლება საჭირო არ არის. მოვლენები თავისთავად დასტაბილურდება. **მშვილდოსანი** – საღი აზროვნების მეშვეობით ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებული დარჩებით. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **თხის რქა** – საკუთარი საქციელი გააანალიზეთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში ან ბუნების წიაღში. **მერწყული** – სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. ახლობლებთან სიტუაციის გართულებას არ გირჩევთ. **თევზები** – ნებისმიერი კონტაქტისათვის ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. შესაძლოა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ვენეციისა და გენუის მმართველთა ტიტული; 2. ფინელი იუმორისტი მწერალი; 3. თვალის ფერადი გარსი; 4. გრამატიკაში, ზმნის წარსული დრო; 5. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 6. იტალიელი კინორეჟისორი; 8. ქართველი შტანგისტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 10. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 11. უმაღლესი სასულიერო პირი კათოლიკურ ეკლესიაში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 15. ჰერალდიკაში მოკლე წარწერა გერბზე; 16. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი.

თარაზულად: 1. ირლანდიის დედაქალაქი. 4. ცნობილი ქართველი ძიუდოს მსაჯი; 7. კონკურსის მონაწილეთა შემფასებელ სპეციალისტთა ჯგუფი; 9. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 12. ევროპის ჩემპიონი, ქართველი მოფარიკავე მამაკაცი; 13. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 14. მოკლე, საცირკო, საესტრადო პიესა; 17. ფულის ერთეული ავღანეთში; 18. ნივთიერება, რომელიც ელექტროდენს არ ატარებს; 19. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 20. უოლტეხილი საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა